ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge


გვ.5

**სასაზღვრო პოლიციამ 10 კგ ჰეროინი ამოიღო**

დაკავებულია 2 უცხოელი

**მიხეილ სააკაშვილს გადაადგილება უჭირს**


გვ.5

სამშაბათი, 3 მაისი, 2022 №85 (8863) ფასი: 80 თეთრი

# „რევოლუციური სცენარი მზადდება, ნაციონალები უკრაინიდან ფინანსდებიან“


გვ.2

ლადო სადღობელაშვილი: „ხელისუფლება დაასწრებს მოვლენებს და ვადამდელს დაუნიშნავს ოპოზიციას“



## „სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია სააკაშვილი გაათავისუფლოს“


გვ.3

ლია მუხაშავრია: „კანონით იუსტიციის სამინისტრო ვერ მოიწვევს უცხოელ ექიმებს. ამის გაკეთება შეუძლია ოჯახს, პატიმარს“

## „ხალხს ცვლილებები უნდა, მაგრამ „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა ამის საშუალებას არ იძლევიან“

გიგა ბუკია: „შეიძლება ხელისუფლება ისეთი უსუსური იყოს, რომ ყველაფერს ოპოზიცია წყვეტდეს?!“


გვ.4

**გიორგი ბოტკოველი: „დარწმუნებული ვარ, ხელისუფლებას მოუწევს მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება“**


გვ.3


გვ.2

**ირაკლი კობახიძე: „დღეს რადიკალური ოპოზიცია არის სუსტი, როგორც არასდროს“**

**ირაკლი ღარიბაშვილმა კარლ ჰარცელს ევროკავშირის კითხვარის პირველი ნაწილი გადასცა**


გვ.2


გვ.4

**ირაკლი ღარიბაშვილი: „პირბადის სავალდებულო ტარება მოიხსნება“**

**თსუ-ს სტუდენტები ჰიბრიდულ სწავლებას ითხოვენ**


გვ.4

1993230720223

5 როგორ გავიდა გამოძიება მშობლების მკვლელობაში ბრალდებულ გიორგი ბეროზაშვილზე

ის დედის სიმმა გასცა

4 ფინანსთა მინისტრი: „საქართველო არ და ვერ იქნება სანქციების გვერდის ავლის ადგილი“

5 პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო

დაკავებულია 6 პირი

6 ზელენსკი: „მსოფლიო რუსების წინააღმდეგ არ არის, თუმცა მათ მხარს უკვე აღარავინ უჭერს“

# „რევოლუციური სცენარი მზადდება, ნაციონალები უკრაინიდან ფინანსდებიან“

## ლადო სადღობელაშვილი: „ხელისუფლება დაასწრებს მოვლენებს და ვადამდელს დაუნიშნავს ოპოზიციას“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.**



***– ლადო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? აქტიურად ვისმენთ ბრალდებებს „ოცნების“ ხელისუფლების მისამართით, ჩვენს ოპოზიციას ახლა უკრაინული მხარეც დაემატა. რამდენად სერიოზულად არის საქმე და რამდენად საფუძვლიანია ეს ბრალდებები?***

– რაც შეეხება ჩვენს ხელისუფლებას და მის რუსულ კავშირებს, სიმართლე გითხრათ, ჩვენი ოპოზიციის გამკვირვებაა. ჩვენ ყველამ მოვისმინეთ ჩანაწერები, როგორ ესაუბრება ბიძინა ივანიშვილი რუს ბიზნესმენს და ატყდა ერთი ამბავი, რატომ არ უწესებს სანქციებს დასავლეთიო. იქით არახამია გამოვიდა და მიმართა დასავლეთს, ბიძინა სანქციებში მოაყოლეთო. ამის პარალელურად ნახეთ, რა ხდება. „ბორჯომი“ წყვეტს მუშაობას და ამის მიზეზი არის ის, რომ „ბორჯომის“ მფლობელი არის რუსი სანქცირებული ბიზნესმენი.

***– ეს რა შუაშია ბიძინას რუსულ კავშირებთან?***

– აი ამის ფონზე, კაციშვილს არ ახსენდება „ბორჯომთან“ ხაზარაძის კავშირები.

***– ხაზარაძემ განაცხადა, რომ მას „ბორჯომთან“ არანაირი შეხება აღარ აქვს.***

– ხაზარაძემ კი გააკეთა განცხადება, რომ 2013 წლიდან „ბორჯომთან“ არანაირი შეხება აღარ აქვს, არც მიხეილ სვიდმანთან არანაირი კავშირები არ აქვს, მაგრამ ჩვენ თუ ჩავიხედებით „ბორჯომის“ სადამფუძნებლო კრების ოქმში, ასევე, თუ ჩავიხედებით „ბორჯომის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა სიაში, ჩვენ ვნახავთ, რომ იქ ხაზარაძე ფიგურირებს, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

***– ანუ ხაზარაძე ისევ მონაწილეა „ბორჯომის“?***

– არ არის მაკონტროლებელი პაკეტის მფლობელი, მაგრამ წილი ნამდვილად აქვს. კი ბატონო, პატარკაციშვილებმა გაყიდეს საკონტროლო პაკეტი, მაგრამ დამფუძნებლებში ხაზარაძეც რჩება. ასევე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. ეს ხომ ნიშნავს იმას, რომ ამ კომპანიის პარტნიორია?!

***– ლადო, საით მიგყავს ეს საუბარი?***

– იქით, რომ ივანიშვილთან დაკავშირებით სანქციებზე საუბარი ძალიან ზედმეტია და ეს ოპოზიცია სანამ სხვის ღობეში დაინახავდა კენჭებს, საკუთარ ეზოში დაინახოს ქვების გორა. ბრტყელ-ბრტყელ განცხადებებს რომ აკეთებს ნაციონალური მოძრაობა, მათი ერთი წლის წინანდელი თავმჯდომარე, ოფიციალურად რუს ბიზნესმენად მოიხსენიება. ის დღესაც რუსეთის მოქალაქეა და მისი ბიზნესის 90% სწორედ რუსეთშია. ასეთ ადამიანებს არ ახსენებენ, არ აწყობთ და იმიტომ.

***– დავუშვათ, არ არის რუსეთის მხარეს ჩვენი ხელისუფლება და არ არის პუტინის პოლიტიკის გამტარებელი, თუმცა არც უკრაინის მხარეს არის და ვხედავთ, როგორ ღიად უპირისპირდებიან. ეს რამდენად სწორი პოზიციაა?***

– მე თუ მკითხავთ, დღევანდელი პოზიცია, ჩვენი ქვეყნის სიტუაციიდან გამომდინარე, აბსოლუტურად სწორია. შესაძლოა ამ ურაპატრიოტიზმის ჭრილში ეს ყველაფერი ცოტა ლაჩრულად გამოიყურება, მაგრამ ჩვენ თუ გადავხედავთ ჩვენს მეგობარ და მეზობელ ქვეყნებს, არც ისინი ირტყამენ მკერდზე მუშტს. ბოლოს და ბოლოს, გერმანიამ მხოლოდ ორი თვის თავზე გამოუყო იარაღი. რა უნდათ, რას გვემართლებიან, ჩვენ არც იარაღს ვაწარმოებთ, რომ მივაწოდოთ და თავად ვიმყოფებით ოკუპირებულ სიტუაციაში. რადგან უკრაინასა და სანქციებზე ვსაუბრობთ, აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს და ყურადღება უნდა მივაქციოთ, უკრაინის საკმაოდ გავლენიანი ადამიანების დამოკიდებულებას საქართველოსთან მიმართებაში.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას თუ რა დამოკიდებულება აქვთ მათ ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებით. გამოდის არახამია და ღიად უპირისპირდება ჩვენს ხელისუფლებას თავისი განცხადებებით. რადგან თქვენ არ გვეხმარებით, თქვენ ხართ პრორუსებიო. გამოდიან ტიპები და ჩვენს ხელისუფლებას და საქართველოს მოსახლეობას აყენებენ შეურაცხყოფას და მთელ ქვეყანას ვაჭრებს გვიწოდებენ! უკაცრავად და ამხელა, 43-მილიონიანი ქვეყნიდან, როდესაც აფხაზეთში მიმდინარეობდა ომი, 500 კაცზე მეტი რატომ ვერ ჩამოვიდა?! უკეთესს გეტყვით, 2008 წელს, რატომ არ გამოთქვეს სურვილი ამ ადამიანებმა, რომ დამდგარიყვნენ ქართველი ჯარისკაცების გვერდით? დღეს 1000-ზე მეტი ქართველი იბრძვის იქ და 10 დაიღუპა! ეს საუბრები, რაც მოდის უკრაინული მხარიდან, ეს მარტო საუბრები არ არის. ეს არის პროვოკაცია. მათი განცხადებები უბრალო საუბრებს გაცდა და მოქმედებებზე არიან გადასულები.

***– რასთან დაკავშირებით, რას ემსახურება ეს ყველაფერი?***

– დღეს არახამიას სულიერი მამა, მიხეილ სააკაშვილი ციხეშია. მე მაქვს ზუსტი ინფორმაცია, რომ უკრაინიდან აქეთ მოდის სერიოზული თანხები. ის თანხები, რასაც დასავლეთი უკრაინას აძლევს დასახმარებლად, იქიდან ნაწილი, როგორც მე ვიცი, მოედინება საქართველოში, რათა აქ რევოლუციური სცენარი შეკერონ, გადაატრიალონ აქ მთავრობა.

***– ლადო, ზუსტად ასეთია ღარიბაშვილის რიტორიკაც. ზუსტად ასე ადანაშაულებენ ოპოზიციას.***

– მე ზუსტად ვიცი, რომ აქ თანხები მოედინება. აძლიერებენ აქ ოპოზიციას და ცდილობენ ფრონტის ხაზი გახსნან.

***– ლადო, როდესაც ბოლო რამდენიმე კვლევის თანახმად, პარტია ნაციონალურ მოძრაობას მხოლოდ 7% უჭერს მხარს, ასეთმა პარტიამ რა გადატრიალება უნდა მოაწყოს?***

– ძალიან მარტივად! აი ამ 7%-ს ისე აქცევენ 30%-ად, მით უმეტეს, თუ ამ „ლელოს“ და ვაშაძეებს და მსგავს პარტიებს შემოიერთებს, სულ თავისუფლად გახლეჩს საზოგადოებას 50/50-ზე. უკრაინული მხარის მთავარი მიზანი არის, სააკაშვილი გამოვიდეს ციხიდან, გადააყენოს ეს ხელისუფლება და საქართველო ჩართოს საომარ კონფლიქტში. ეს უნდა მოხდეს ძალიან მალე. ელვისებურად უნდა განვითარდეს პროცესები. მე მაქვს კავშირები იქაურ წარმომადგენლობასთან, რომლებიც მეუბნებიან, რომ უკრაინიდან, ნაცმოძრაობას ეხმარებიან ფინანსურად. აქციებს და გადატრიალებას, ხალხიც სჭირდება, ხალხის მობილიზებას კი ფული სჭირდება. ეს ფულები მოედინება უკრაინიდან იმისთვის, რომ აქ გადააყენონ მთავრობა. ერთი სული აქვთ, საქართველო ჩართონ რუსეთთან კონფლიქტში. ნაცმოძრაობას სწორედ რომ დამსახურებულად ჰქვია ომის პარტია და აქ კითხვები არ არის. ესენი ყველაფერზე არიან წამსვლელები. კეზერაშვილი, ახალაიები, ვანო მერაბიშვილი, ეს ადამიანები 2008 წელს გამდიდრდნენ 3-4 დღეში და გამდიდრდნენ ომის პერიოდში! დღეს კი ამ ოპოზიციურ პარტიას უკრაინიდან უგზავნიან ფულს.

***– ლადო, უკრაინაზე როდესაც ვსაუბრობთ, ეს ქვეყანა ომშია და ალბათ უფრო მოზომილი უნდა იყოს თქვენი შეფასებები.***

– თავიდან მეც ასე ვუყურებდი, მაგრამ ახლა ძალიან ბევრი კითხვა მაქვს უკრაინის ხელისუფლების ქმედებებთან დაკავშირებით. როდესაც იქაური სამთავრობო პარტია ზრუნავს იმაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში გადატრიალება მოხდეს, ის უკვე აღარ არის მეგობარი ქვეყანა.

***– ზუსტად გაქვთ ეს ინფორმაცია?***

– ძალიან სანდო წყაროებიდან მაქვს ინფორმაცია, რომ უკრაინიდან შემოსული ფული, კერძოდ კი, არახამიას მიერ გატანილი პროექტი, რომელიც რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარს მოიცავს. საუბარია ე.წ. შავ ფულზე. რაც ვიცი, კიდევ ყველაფრის თქმა არც შეიძლება. ზუსტად ვიცი, რომ ჩვენთან ახალი რევოლუციური სცენარი იწერება. ოპოზიციურმა პარტიებმა აქტიურად დაიწყეს ახალგაზრდული ფრთების მობილიზება. მაისის პირველივე რიცხვებიდან იგეგმება მხურვალე აქციები, რომელიც რუსთაველზე საკნების გაშლით დაგვირგვინდება. მოთხოვნა იქნება ერთი, გადადგეს მთავრობა. ზუსტად მაქვს ინფორმაცია, რომ ნაცმოძრაობა დღედღეზე ამ აქციებს იწყებს. აი ეს არის ამათი სცენარი. ვადამდელ არჩევნებს თუ ვერ მიაღწიეს, თუ დასჭირდათ, იარაღის ჭახაჭუხზეც გადავლენ. შეიარაღებული კონფლიქტი მათი გეგმის შემადგენელი ნაწილია. ეს ვითარება, მერწმუნეთ, აქ მოსალოდნელია. დღეს უკრაინას ჰაერივით სჭირდება, რომ საქართველომ კიდევ ერთი ფრონტი გაუხსნას რუსეთს. ამისთვის არც ფულს დაიშურებენ, არც იარაღს და არც დესანტს. რა გამოუვათ, ეს უკვე მეორე საკითხია. მე ისეთი ინფორმაციები მომდის, რომ ხელისუფლება დაასწრებს მოვლენებს და ვადამდელს დაუნიშნავს ოპოზიციას. ამის კონტურები უკვე იკვეთება.

## ირაკლი კობახიძე: „დღეს რადიკალური ოპოზიცია არის სუსტი, როგორც არასდროს“

– როდესაც აბსტრაქტულ მხარეს ირჩევ იმისთვის, რომ დაუპირისპირდე ადამიანს, რომელიც გასულია პოლიტიკიდან, ეს, ბუნებრივია, ისევ და ისევ ოპოზიციის სისუსტეზე მეტყველებს. დღეს რადიკალური ოპოზიცია არის სუსტი, როგორც არასდროს.

ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც კობახიძემ აღნიშნა, მმართველი გუნდის მთავარი ამოცანა უნდა იყოს „ნაცმოძრაობის“ შემდგომი დასუსტება იმისთვის, რომ ქვეყანაში პოლარიზაციის ხარისხი კიდევ უფრო შემცირდეს.

– არის რადიკალური ოპოზიცია, კაცი არის პოლიტიკიდან გასული და მაინც ვერ ისვენებენ ეს ადამიანები. ყოველ ჯერზე ცდილობენ მისი სახელის და გვარის ხსენებას. ეს არის მარტივი სპეკულაციები, არის არაჯანსაღი პოლიტიკური ოპონირების შემადგენელი ნაწილი.

მე მათ ვურჩევ, რომ გადავიდნენ ჯანსაღ პოლიტიკურ ოპონირებაზე და ოპონირება გაუწიონ იმ ადამიანებს, რომლებიც პოლიტიკაში არიან და არა იმ ადამიანს, რომელმაც საკუთარი გადაწყვეტილებით დატოვა პოლიტიკა. ესეც მათ სისუსტეზე მეტყველებს – როდესაც აბსტრაქტულ მხარეს ირჩევ იმისთვის, რომ დაუპირისპირდე ადამიანს, რომელიც გასულია პოლიტიკიდან, ეს, ბუნებრივია, ისევ და ისევ მათ სისუსტეზე მეტყველებს. დღეს რადიკალური ოპოზიცია არის სუსტი, როგორც არასდროს, რასაც აქვს ძალიან დადებითი შედეგები ჩვენს პოლიტიკაზე.

შედეგი არის ის, რომ პოლარიზაციის ხარისხი არის შემცირებული. დღეს ყველა ვხედავთ, რომ შარშანდელთან შედარებით პოლარიზაციის ხარისხი ბევრად უფრო დაბალია. ამას აქვს ერთადერთი მიზეზი, რომ „ნაცმოძრაობა“ წელს არის ბევრად უფრო სუსტი, ვიდრე იყო შარშან. შესაბამისად, ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს „ნაცმოძრაობის“ შემდგომი დასუსტება იმისთვის, რომ ჩვენს ქვეყანაში პოლარიზაციის ხარისხი კიდევ უფრო შევამციროთ, – განაცხადა კობახიძემ.

## „ეკონომიკა იზრდება, 14.4% ზრდა გვაქვს პირველ კვარტალში“

– ეკონომიკა იზრდება, 14.4% ზრდა გვაქვს პირველ კვარტალში, -– ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ იზრდება როგორც ადგილობრივი ექსპორტი, ასევე ტურიზმი, ფულადი გზავნილები.

– იანვარში ჩვენ გვქონდა 18%-იანი ზრდა, თებერვალში 14.6% იყო ჩვენი ეკონომიკის ზრდა და მარტში უკვე რეალური ზრდა – 10.6%, რაც ჯამში 14.4% გამოვიდა, რაც ძალიან სასიხარულოა. მინდა საზოგადოებას ძალიან მოკლედ ვუთხრა, რომ იზრდება როგორც ადგილობრივი ექსპორტი, ასევე ტურიზმი, ფულადი გზავნილები. ასე რომ, მთლიანობაში ძალიან პოზიტიური დინამიკა გვაქვს ამ მიმართულებით, – აღნიშნა პრემიერმა.

## ირაკლი ღარიბაშვილმა კარლ ჰარცელს ევროკავშირის კითხვარის პირველი ნაწილი გადასცა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მთავრობის ადმინისტრაციაში, ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს კარლ ჰარცელს ევროკომისიის კითხვარის პირველი ნაწილი გადასცა, რომელიც ქვეყანამ უკვე შეავსო.



– მაქვს პატივი, გადმოგცეთ ევროკომისიის კითხვარზე ჩვენი პასუხები, ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს მიერ წარდგენილ განაცხადზე დასკვნის მოსამზადებლად, – განაცხადა პრემიერმა.

ევროკავშირის ელჩმა საქართველოს წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ მისთვის პატივია ამ ისტორიულ პროცესში მონაწილეობა.

– მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადოთ და ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო კიდევ ერთი ისტორიული მომენტის მონაწილე და თქვენ გვერდით ვიდგე ამ ცივილიზაციური არჩევანისკენ მიმავალ გზაზე, – განაცხადა კარლ ჰარცელმა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება, ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყება განაგრძობს ინტენსიურ მუშაობას კითხვარის მეორე, სექტორული ნაწილის შევსებაზე, რომელიც 33 თავს და 2300-მდე კითხვას აერთიანებს. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობის სურვილია, კითხვარის მეორე ნაწილი ევროკავშირს დათქმულ ვადაზე ადრე მიაწოდოს და ამისთვის უწყებები ძალისხმევას არ დაიშურებენ.

როგორც ცნობილია, შევსებული კითხვარის მიღების შემდგომ, ევროკომისია დაიწყებს საკუთარი შეფასების ანგარიშის მომზადებას, რომელიც ევროკავშირის საბჭოს გადაეცემა და საბჭო შესაბამის გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, ივნისის ბოლოს მიიღებს.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია სააკაშვილი გაათავისუფლოს“

## ლია მუხაშავრია: „კანონით იუსტიციის სამინისტრო ვერ მოიწვევს უცხოელ ექიმებს. ამის გაკეთება შეუძლია ოჯახს, პატიმარს“

ნათია ხურცილავა

იურისტი, ადამიანის უფლებათა დამცველი ლია მუხაშავრია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს, რამდენად არის შესაძლებელი მიხეილ სააკაშვილის პირობით, ვადამდე ადრე განთავისუფლება.

***– ქალბატონო ლია, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომლის შესახებაც სახალხო დამცველის მიერ შექმნილ კონსილიუმის დასკვნაშია საუბარი, რამდენად იძლევა მის პირობით ვადამდე ადრე განთავისუფლების საფუძველს?***

– ამ კონკრეტულ საკითხს, პატიმრის პირობით ვადაზე ადრე განთავისუფლებას, სწორედ ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, სასამართლო წყვეტს. როდესაც ექიმების დასკვნა, ეს იქნება კონსილიუმის თუ ერთი ექიმის მიერ დაწერილი დასკვნა, რომელზეც ბეჭედი იქნება დასმული, ამბობს პატიმრის მძიმე ავადმყოფობაზე, მისი ჯანმრთელობის კრიტიკულ დონეზე, მაშინ ადვოკატები მიმართავენ სასამართლოს და სასამართლო იხილავს გაათავისუფლოს თუ არა პატიმარი პირობით ვადაზე ადრე.

ამდენად, მიხეილ სააკაშვილის ირგვლივ დღეს განვითარებული მოვლენები წმინდა წყლის სამედიცინო სფეროა. კვალიფიციური სამედიცინო დასკვნის არსებობის შემთხვევაში, ამ დასკვნაზე დაყრდნობით სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

სიმართლე გითხრათ, მაინტერესებს თუ არსებობს სრულყოფილი სამედიცინო დასკვნა, რატომ არ მიმართავენ ადვოკატები სასამართლოს აღნიშნული მოთხოვნით?! როგორც ჩანს, საბოლოოდ არ არის დიაგნოზი გარკვეული ან დასმული. წინააღმდეგ შემთხვევაში, რა უდგას წინ სასამართლოსთვის მიმართვას, გაუგებარია.

***– ვინაიდან მედიაში არის გავრცელებული ანორექსიის შესახებ ინფორმაცია, ამიტომ გკითხავთ: აღნიშნული დიაგნოზი რამდენად ექვემდებარება პირობით ვადაზე ადრე განთავისუფლებას?***

– შემიძლია ჩემი პრაქტიკიდან მოგიყვეთ ერთი მაგალითი სწორედ აღნიშნულ დაავადებასთან დაკავშირებით. ვიცავდი პატიმარს, რომელმაც წონაში 70 კილოგრამი დაიკლო. ეს კაცი არ იყო დიდი გაბარიტების მქონე, ამიტომ ასეთი დიდი წონის დაკარგვის შემდეგ კატასტროფულად გამოიყურებოდა. ის არ შიმშილობდა, პირიქით, ჭამას ცდილობდა, მაგრამ საკვებს ვერ იღებდა, ორგანიზმი არ იღებდა. თუ მიიღებდა, კუჭნაწლავი მის გადამუშავებას ვერ ახერხებდა. სერიოზული ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნა. ცხადია, სამედიცინო კვლევებმა აჩვენა, რა იყო მიზეზი, ძლიერი ნერვული სტრესი დაუდგინდა. ამ დიაგნოზის დასმის მიუხედავად, ასევე, მიუხედავად იმისა, რომ 70 კილო დაიკლო და ურთულეს მდგომარეობაში იყო, საკვებს ვერ იღებდა, ის ვერ განთავისუფლდა პირობით ვადაზე ადრე. ასევე, შეიძლება იყოს კიბოს დიაგნოზიც დასმული, მაგრამ თუ მესამე სტადიაა, შეიძლება არ განთავისუფლდეს, სანამ მეოთხე სტადია არ იქნება დადგენილი.



თუმცა, აქვე ისიც უნდა გითხრათ, რომ ანორექსიას აქვს სხვადასხვა ტიპი. მე მაშინ მომიწია აღნიშნული დაავადების შესწავლა და ვიცი, რომ არსებობს იმ დონის ანორექსიაც, რომელიც გადაუდებელ სამედიცინო ჩარევას საჭიროებს. თან, სერიოზულ ჩარევას. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება უცაბედი გარდაცვალება გამოიწვიოს.

ამიტომ, გარედან, როდესაც არ იცი, რეალურად რა ხდება, რა არის დიაგნოზი, რთულია საუბარი. ერთი, რაც დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ დიაგნოზის, სამედიცინო დასკვნის არსებობის შემთხვევაში, ადვოკატები აუცილებლად მიმართავდნენ სასამართლოს დაუყოვნებლივი გადაუდებელი განთავისუფლების მოთხოვნით და არ მგონია, რომელიმე მოსამართლემ გაბედოს და ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილოს. ან პირდაპირ მიმართონ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაუდებელი ღონისძიების მოთხოვნით და 24 საათის განმავლობაში მორიგე მოსამართლე ან სასამართლოს თავმჯდომარე მიიღებს დაუყოვნებლივი განთავისუფლების გადაწყვეტილებას.

***– როგორ ფიქრობთ, თუ უნდობლობა არსებობს არსებული კონსილიუმის მიმართ, რატომ არ იწვევს იუსტიციის სამინისტრო საერთაშორისო ექიმებისგან დაკომპლექტებულ კონსილიუმს?***

– კანონით ამის აუცილებლობა არ აქვს იუსტიციის სამინისტროს. ამის გაკეთება შეუძლია ოჯახს, პატიმარს თუ მას სურს მიიღოს ასეთი ექიმებით დაკომპლექტებული კონსილიუმისგან დასკვნა. ისე, როგორც ჩანს, იუსტიციის სამინისტროსთვის თუ სამხარაულის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროში არ იქნება წარმოებული ან გავლილი აღნიშნული ჯანმრთელობის დასკვნა, სარწმუნო არ არის.

ნებისმიერი პატიმრისთვის ღრმა დეპრესია, დეპრესიული აშლილობა ნორმალურია. როდესაც ადამიანი მზად არ არის ციხისთვის, არა აქვს მნიშვნელობა, ის სამართლიანად იხდის სასჯელს თუ უსამართლოდ, დაპატიმრების მომენტიც კი შეიძლება იმხელა სტრესი აღმოჩნდეს, რომ ნებისმიერი ურთულესი დაავადება განუვითარდეს სრულიად ჯანმრთელ ადამიანსაც კი. შეიძლება გულის ისეთი შეტევაც კი გამოიწვიოს იმის გააზრებამ, რომ ციხეში უნდა იჯდეს, შეიძლება გული გაუსკდეს და მოკვდეს. ასეთი შემთხვევებიც არსებობს. თან, როგორც მედიცინაში არის ცნობილი, დეპრესიულობას ხელს უწყობს მზის სხივების არ არსებობა. ერთი საათით გასეირნება ვერანაირად ვერ იქნება საკმარისი დე-ვიტამინის გამოსამუშავებლად. დე-ვიტამინის დეფიციტი ორგანიზმში კი ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია დეპრესიის. უამრავი ნიუანსია. ამის შესახებ კარგად უნდა იცოდეს სააკაშვილმა.

# გიორგი ბოტკოველი: „დარწმუნებული ვარ, ხელისუფლებას მოუწევს მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება“



– დარწმუნებული ვარ, ხელისუფლებას მოუწევს მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება.

ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, გიორგი ბოტკოველმა მიხეილ სააკაშვილის ოჯახის მხრიდან ხელისუფლებისთვის წაყენებულ ულტიმატუმზე საუბრისას განაცხადა.

გიორგი ბოტკოველის განცხადებით, ძალიან მალე „ქართული ოცნება“ ქართველი ხალხის ულტიმატუმს მიიღებს.

– დღეს ყველას, თითოეულ ჩვენგანს, უნდა გვამოძრავებდეს და უნდა გვინდოდეს, რომ გადავარჩინოთ მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლე, იმიტომ, რომ ეს იქნება ქვეყნის სირცხვილი და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ხელისუფლებას ქართველ ხალხთან და ჩვენ საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად არ მივცემთ ამის გაკეთების საშუალებას.

დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მალე „ქართული ოცნების“ კი არა, რუსული პარტია ქართველი ხალხის ულტიმატუმს მიიღებს.

რასაც ჩადის ხელისუფლება, არ არის ბრძოლა მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ, ეს არის ბრძოლა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, როდესაც ქვეყნის მესამე პრეზიდენტი გვყავს ციხეში და ასე ექცევი, – განაცხადა გიორგი ბოტკოველმა.

# უკრაინული დაზვერვის მტკიცებით, საქართველო რუსეთს სანქციების გვერდის ავლაში ეხმარება

რუსეთი სანქციების გვერდის ავლას საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დახმარებით ცდილობს.




სკანდალურ ინფორმაციას უკრაინული დაზვერვა ავრცელებს.

გაშიფრულია სქემა, რომლითაც რუსული პროდუქცია საერთაშორისო ბაზარზე გავა. ირკვევა, რომ ოკუპანტები საკუთარ პროდუქციას თბილისში, ერევანსა და ბაქოში შეიტანენ, უცხოურ ბაზრებზე კი რუსული პროდუქტი ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ეტიკეტით გაიყიდება.

– თუ შევხედავთ ახალ განცხადებას, რომელიც უკავშირდება დაზვერვის სამსახურს, ასევე, დარეგისტრირებულ კომპანიებს და იმის შესაძლებლობას, რომ საქართველო, შესაძლოა, გახდეს რუსეთისთვის სანქციების გვერდის ავლის მექანიზმი.

ამასობაში საქართველოს ხელისუფლება კონკრეტულ ქმედებებზე არ გადადის. არც კონკრეტულად ამბობს, რის საფუძველზე ამბობენ, რომ სანქციების გვერდის ავლა არ მოხდება საქართველოდან, როცა ასეულობით ახალი კომპანია დააფუძნეს რუსებმა ომის დაწყების შემდეგ, – თქვა ენმ-ის წევრმა ლევან ხაბეიშვილმა.



რუსეთის უკრაინაში ფართომასშტაბიანი შეჭრის შემდეგ რუსული კომპანიები საქართველოში ერთმანეთის მიყოლებით რეგისტრიდება.

არასამთავრობო სექტორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოება სწორედ რუსეთის მიერ სანქციების გვერდის ავლას ემსახურებოდა.

მათი თქმით, კომპანიები, რომლებიც საქართველოში დარეგისტრირდა, ტვირთების რეექსპორტისთვის იქნება გამოყენებული.

„ქართული ოცნების“ ლიდერი არჩილ თალაკვაძე უკრაინის დაზვერვის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას უსაფუძვლოს და არასწორს უწოდებს.

მისი თქმით, მსგავსი განცხადებები საქართველოს უკრაინისადმი მხარდაჭერას ვერ შეასუსტებს.

– პირდაპირ გეტყვით, რომ საქართველოსთან მიმართებაში ეს განცხადება გახლავთ უსაფუძვლო და არასწორი. ცალკეული წარმომადგენლების განცხადებები საქართველოს მხარდაჭერას უკრაინის მიმართ ვერ შეასუსტებს, – განაცხადა თალაკვაძემ.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ბევრმა იმპორტიორმა დაიწყო შედარებით იაფი საწვავის შემოტანა, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ასახულა ფასებზე“



– ჩვენი ინფორმაციით, ბევრმა იმპორტიორმა დაიწყო შედარებით იაფი საწვავის შემოტანა, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ასახულა ფასებზე.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, კონკურენციის სააგენტო 15 მაისამდე წარმოადგენს შუალედურ დასკვნას და ამის შემდეგ, მთავრობას ექნება საშუალება, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

– წინა პარასკევს, მე დავავალე ეკონომიკურ გუნდს, შეხვედრა გვქონდა კონკურენციის სააგენტოსთან და ვიმსჯელეთ საწვავის ფასებთან დაკავშირებით. ჩვენი ინფორმაცია არის შემდეგი, რომ ძალიან ბევრმა იმპორტიორმა დაიწყო შედარებით იაფი საწვავის შემოტანა საქართველოში, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ასახულა ფასებზე. ამიტომ, ჩვენ მივმართეთ კონკურენციის სააგენტოს, რომ შეისწავლოს დეტალურად საწვავის ფასები და 15 მაისამდე წარმოადგინოს შუალედური დასკვნა და ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, მთავრობას საშუალება ექნება, რომ მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

ჩვენ წინასწარ არაფერს არ ვამტკიცებთ, არსებობს გარკვეული ინფორმაციებიც, რომ ხომ არ არის, მაგალითად, რაიმე მოლაპარაკება ფასთან დაკავშირებით, მაგრამ ამ ყველაფრის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა, რომ დაიდოს მონიტორინგის ანგარიში და ამის შემდეგ გავაკეთებთ შესაბამის დასკვნებს, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

# 3 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტს დაბეგვრიდან მიღებული შემოსავლები 36%-ით გაეზარდა




ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებიდან ირკვევა, რომ მიმდინარე წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების სახით 3,688 მლრდ ლარი შევიდა.

ეს მაჩვენებელი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 36%-ით, ანუ 1,026 მლრდ ლარით მეტია.

რაც შეეხება ბიუჯეტის შემოსავლებს კონკრეტული გადასახადების მიხედვით, 2022 წლის 3 თვეში საშემოსავლო გადასახადის სახით ბიუჯეტმა დაახლოებით 1,126 მლრდ ლარი მიიღო, მოგების გადასახადიდან მიღებულმა შემოსავალმა დაახლოებით 690 მლნ ლარი შეადგინა.

იანვარ-მარტში ბიუჯეტმა დამატებითი ღირებულების გადასახადიდან (დღგ) ყველაზე მეტი 1,305 მლრდ ლარის შემოსავალი მიიღო.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოცულობა წინა წლის ანალოგიურ პერიოდს დაახლოებით 329 მლნ ლარით აღემატება.

მიმდინარე წელს საგადასახადო შემოსავლების მატების მთავარი მიზეზი საშემოსავლოს, მოგებისა და დღგ-ს გადასახადებიდან გაზრდილი შემოსავლებია.

ამასთან, აქციზის გადასახადიდან ბიუჯეტში დაახლოებით 320 მლნ ლარი შევიდა, იმპორტის გადასახადიდან – 22 მლნ ლარი, ხოლო სხვა გადასახადებიდან 2022 წლის პირველ კვარტალში ბიუჯეტში დაახლოებით 224 მლნ ლარი შევიდა.

# „ხალხს ცვლილებები უნდა, მაგრამ „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა ამის საშუალებას არ იძლევიან“

## გიგა ბუკია: „შეიძლება ხელისუფლება ისეთი უსუსური იყოს, რომ ყველაფერს ოპოზიცია წყვეტდეს?!“

მარიამ მჭედლიშვილი

აქტუალურ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატს, გიგა ბუკიას.

***– უკრაინულმა დაზვერვამ მეორედ განაცხადა, რომ საქართველო ჩართულია რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სასანქციო რეჟიმის დარღვევაში. ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, ამაზე მტკიცებულებები ისევ არ არსებობს.***

– სანამ კონკრეტულად ბრალდების შინაარსს შევეხები, მინდა სინანულით აღვნიშნო, რომ საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებებს შორის დღემდე ვერ მოხერხდა ურთიერთობის დალაგება და მუდმივი კომუნიკაცია. არის საკითხები, მაგალითად, უსაფრთხოება და სხვა, რომელზეც პარტნიორი ქვეყნები მუდმივად უნდა ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და უზიარებდნენ ინფორმაციას. ისევ ნაციონალური მოძრაობაზე ლაპარაკობენ, ამ დროს მეცხრე წელიწადი გახდება, რაც თვითონ არიან ხელისუფლებაში.

***– გულისხმობთ იმას, რომ „ქართული ოცნება“ უკრაინასთან ურთიერთობის გაფუჭებას ნაცმოძრაობას აბრალებს?***

– ცხადია. იმ ნაცმოძრაობას და სააკაშვილს თავისი შეცდომები და ცოდვები ჰქონდა. ახლა ხომ შენ ხარ ხელისუფლებაში?! შეიძლება ყველაფერი ნაციონალური მოძრაობის სახელს დაუკავშირო? ხომ არ შეიძლება, ხელისუფლება ისეთი უსუსური იყოს, რომ ყველაფერს ოპოზიცია წყვეტდეს?! ახლა რაც შეეხება ანტირუსულ სანქციებს და მისთვის გვერდის ავლის შესაძლებლობას. როცა ასეთი სიტუაციაა, როცა საუბარია დიდ ფულზე, მოგებაზე, რუსეთშიც და სხვაგანაც გამოჩნდებიან დახარბებული ადამიანები, რომლებიც დაარღვევენ რეჟიმს და კანონს. ნათქვამია, თაფლი იყოს და ბუზი ბაღდადიდან მოვაო. ეს ეხება ბევრ ქვეყანას. ალბათ, ბევრგან არის რეჟიმის დარღვევის მცდელობები. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ უკანონობაში არ მონაწილეობს. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ძალიან სარისკო საქმეა. ხელისუფლება ვერ გარისკავდა, სანქციების საკითხში რუსეთისთვის გაეწია დახმარება. ხელისუფლება არა, მაგრამ ცალკეულ პიროვნებებს, არაოფიციალურ პირებს შეიძლება ჰქონდეთ უკანონობაში ჩართვის სურვილი. ხელისუფლებას ეს ძვირად დაუჯდებოდა და ის ამაზე არ წავიდოდა.



> „საქართველოს ხელისუფლება ვერ გარისკავდა, სანქციების საკითხში რუსეთისთვის გაეწია დახმარება“

***– ხელისუფლების წარმომადგენლები ისევ იმეორებენ, რომ არიან საქართველოს ომში ჩაბმის მსურველები. ეს რეალური გგონიათ თუ ესეც რადიკალიზაციის მცდელობაა, რაზეც ადრე ლაპარაკობდით?***

– რადიკალიზაციას „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა არ ეშვებიან. ამ გზით ინარჩუნებენ ორპარტიულობას. უნდათ, რომ პოლიტიკურ ჰორიზონტზე ორად ორი პარტია იყოს. ომში საქართველოს ჩაბმის მცდელობაში სწორედ ნაციონალურ მოძრაობას ადანაშაულებენ. იყენებენ ტერმინს „ომის პარტია“. ნაცმოძრაობა და მათი ლიდერი სააკაშვილი ხელისუფლებაში მოსასვლელად თითქმის ყველა ხერხეს იყენებენ, მზად არიან, ყველას შეეკრან, მაგრამ არა მგონია, მაინცდამაინც ომი უნდოდეთ. „ოცნებამ“ ნაცმოძრაობას შეარქვა „ომის პარტია“, ნაციონალები კი ამ იმიჯს ვერ იცილებენ. ომი, არა მგონია, ვინმეს უნდოდეს, ისე კი, ოპოზიცია პოლიტიკური დასასრულისკენ მიდის. 2024 წლამდე, არ ვიცი, რა დარჩება ამ ოპოზიციისგან.

***– აირაის ბოლო კვლევით, „ქართულ ოცნებას“ 31% აქვს, ნაცმოძრაობას – 16%.***

– ამ ორგანიზაციის მიმართ უპატივცემულობის გამოხატვა არ მინდა. საერთოდ, ეჭვით ვუყურებ სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად დასახელებულ ციფრებს. გამოქვეყნებული ციფრები არასდროს ემთხვევა არჩევნების შედეგებს. დავუშვათ, ნაციონალურ მოძრაობას ნამდვილად აქვს 16%. ამ პარტიას ხელისუფლებაში მოსვლა უნდა, 16% კი ამისათვის არ კმარა. საზოგადოებასთან ახლოს ვარ. ვიცი განწყობები. ხალხს ცვლილებები უნდა, მაგრამ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ამის საშუალებას არ იძლევიან. ისინი ინარჩუნებენ ორპარტიულობას და მესამე ძალა რომ გამოჩნდეს, თავს არ ამოაყოფინებენ. პოლარიზაცია არ მცირდება, პირიქით – მატულობს.

***– პრორუსული ჯგუფების გააქტიურებას რას მიაწერთ?***

– სიმართლე გითხრათ, ამაში ახალს ვერაფერს ვხედავ. რუსეთი საქართველოში ყოველთვის აქტიური იყო და ფსონს დებდა სხვადასხვა პოლიტიკოსსა და პარტიაზე. იყო ბურჯანაძე, რომელმაც რეიტინგი დაკარგა, ასევე იყო პატრიოტთა ალიანსი, რომელიც დადიოდა რუსეთში.

***– ომის დაწყების შემდეგაც იმყოფებოდნენ რუსეთში.***

– ისინი, ყველანი, ახლაც არსებობენ, მაგრამ გავლენები არა აქვთ. გამოჩნდნენ ახალი პრორუსული ჯგუფები. პოლიტიკურ ველზე ისინიც ვერაფერს ცვლიან. ვერც არჩევნებში გაიმარჯვებენ.

***– რა შეიცვალა პოლიტიკაში უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ?***

– ჯერ ერთი, კორონა წავიდა დასასრულისკენ. „კუკარაჩას“ ფინალი გამახსენდა. ომი დაიწყო და მურტალოს ამბავი აღარავის ახსოვდაო. უკრაინის ომმა მსოფლიოს დაავიწყა კოვიდ-19. ყოველთვის ვამბობდი, რომ ბევრი ხელისუფლება სარგებლობდა ამ პანდემიით. გავიგეთ, რომ საქართველოში პანდემიაზე გამოყოფილი თანხების ნაწილი გაიფლანგა. ჯანდაცვის მინისტრიც ამბობს, რომ ფული არასწორად დაიხარჯა. რუსეთის აგრესიისა და ხალხის ტანჯვის, ხოცვის გარდა, უკრაინაში მიმდინარე ომზეც ბევრი ითბობს ხელს. ასეთები რუსეთშიც არიან და სხვაგანაც. მსოფლიოში ძვრები ხდება. მიმდინარეობს ინტერესების, ქვეყნების გადაჯგუფება-გადმოჯგუფება. სიტუაცია დაძაბულია. ასეთ დროს ემოციებს პრაგმატიზმი უნდა ვამჯობინოთ.

***– საქართველოში როგორაა ამ მხრივ საქმე?***

– საქართველოს ხელისუფლება ხანდახან პრაგმატულად იქცევა, მაგრამ ამ პრაგმატულ ნაბიჯს მოაყოლებს ხოლმე არასწორ ნაბიჯსა და განცხადებებს. საერთოდ, ხელისუფლებას მოსახლეობასა და პარტნიორებთან კომუნიკაცია უჭირს. ამ მდგომარეობაში ხალხს უნდა აუხსნან, რას აპირებენ, რა მდგომარეობაა, რა გვემუქრება. ყველაფერს ვერ იტყვიან, მაგრამ ხალხს რაღაც მაინც ხომ უნდა უთხრან!

## ზურაბიშვილი მუსლიმებს რამადან-ბაირამს ულოცავს



საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს მუსლიმ მოქალაქეებს რამადან-ბაირამს ულოცავს.

„გულითადად ვულოცავ რამადან-ბაირამს მუსლიმ საზოგადოებას მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი, ჩვენი ქვეყნის განუყოფელ ნაწილს – საქართველოში მცხოვრებ ყველა მუსლიმს!

სულიერი განწმენდის, ერთმანეთის სიყვარულის, თანადგომისა და მიტევების ეს დიდი ისლამური დღესასწაული მშვიდობისა და კეთილდღეობის საწინდარი ყოფილიყოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის!“ – წერს სოციალურ ქსელში სალომე ზურაბიშვილი.

## ირაკლი ღარიბაშვილი: „პირბადის სავალდებულო ტარება მოიხსნება“



– პირბადის სავალდებულო ტარება მოიხსნება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, დღეიდან პირბადეების სავალდებულო გამოყენება იქნება მხოლოდ დატოვებული სამედიცინო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

– ჩვენ გვქონდა მსჯელობა, ბატონი ზურაბ აზარაშვილი შეხვდა ჯანდაცვის ექსპერტებს, წარმომადგენლებს და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ დღეიდან პირბადეების სავალდებულო გამოყენება იქნება მხოლოდ დატოვებული სამედიცინო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში. ასე რომ, დღეიდან, 2 მაისიდან, სხვა დანარჩენი რეგულაციები მოიხსნება. ჩვენ გვაქვს ძალიან სტაბილური სურათი.

დღეს 51 შემთხვევა გვქონდა მხოლოდ და მშვიდი ვითარებაა ამ მიმართულებით. ეს გვაძლევს საშუალებას, რომ კიდევ უფრო შევამსუბუქოთ რეგულაციები და როგორც უკვე მოგახსენეთ, პირბადის სავალდებულო ტარება მოიხსნება. მათ შორის, სკოლებში, რადგან ბავშვები განსაკუთრებით წუხან და არა მხოლოდ ბავშვები. ჩვენ, რა თქმა უნდა, დავაკვირდებით დინამიკას და შესაბამისად ვიმოქმედებთ, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## თსუ-ს სტუდენტები ჰიბრიდულ სწავლებას ითხოვენ




თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში სტუდენტების ორგანიზებით საპროტესტო აქცია გაიმართა.

აქციის მონაწილეები აუდიტორიებში სწავლის დაწყებას აპროტესტებდნენ და სასწავლო პროცესის ჰიბრიდული მოდელით გაგრძელებას მოითხოვდნენ.

როგორც თსუ-ს სტუდენტები განმარტავენ, ათასობით სტუდენტი რეგიონში ცხოვრობს, უძრავი ქონების გაქირავების ფასების ზრდის გამო კი, ჩამოსვლას და განათლების მიღებას ვერ ახერხებენ.

– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ერთ თვეზე მეტია, სხვადასხვა მეთოდით ვაპროტესტებთ სწავლის აუდიტორიაში დაწყებას. თქვენ ნათლად ხედავთ, რომ უნივერსიტეტის მხრიდან ამას გამოხმაურება არ მოჰყვა. ისინი ჯიუტად დგანან საკუთარ პოზიციაზე, დღეს საზეიმო კონცერტით ეგებებიან სტუდენტებს, მაშინ როდესაც, ათასობით სტუდენტი სახლშია და განათლების მიღმა რჩება.

ჩვენ ვითხოვთ, კვლავ ჰიბრიდულად გაგრძელდეს სწავლა, რათა არავინ დარჩეს განათლების მიღმა. მოგეხსენებათ, ათასობით სტუდენტია რეგიონიდან და გაძვირებული ბინის ქირის გამო, ვერ ახერხებენ 2 თვის განმავლობაში ჩამოსვლას, დაბინავებას და სწავლას, – აღნიშნავს სტუდენტი სოფიკო მოლოშხია.

## ფინანსთა მინისტრი: „საქართველო არ და ვერ იქნება სანქციების გვერდის ავლის ადგილი“



ფინანსთა მინისტრის, ლაშა ხუციშვილის განცხადებით, საქართველო არ და ვერ იქნება სანქციების გვერდის ავლის ადგილი და სანქციებთან მიმართებით საქართველოში განხორციელებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით პარტნიორებს კითხვები ვერ ექნებათ.

როგორც მინისტრმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განმარტა, რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები ეხება არა ნებისმიერ, არამედ კონკრეტულ პროდუქტებს, რომელთა ჩამონათვალიც საჯაროა და პარტნიორი ქვეყნები ინფორმირებულები არიან, რას აკეთებს საქართველო ამ მიმართულებით.

– საქართველო არ და ვერ იქნება სანქციების გვერდის ავლის ადგილი და ქვეყანა. შესაბამისად, ამ მიმართულებით საქართველომ გადადგა ყველა ის ნაბიჯი და ქმედება, რაც საჭიროა, რათა უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნული განცხადება და ქმედება.

ეს ეხება როგორც საფინანსო მიმართულებით დაწესებულ სანქციებს, ასევე კონკრეტულ საქონელთა დაწესებულ სანქციებს.

ძალიან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს პარტნიორ ქვეყნებთან, რომლებმაც დააწესეს აღნიშნული სანქციები. ჩვენი პარტნიორები ინფორმირებულები არიან, რას აკეთებს საქართველო. ჩვენს პარტნიორებს შეკითხვები არ აქვთ საქართველოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე.

საქართველო ჩვენს ყველა პარტნიორთან ახდენს ინფორმაციის გაცვლას, დაზუსტებას, მთელი რიგი მიმართულებით და ეს პროცესი უზრუნველყოფს, რომ რაიმე ტიპის შეცდომა დაშვებული არ იქნება. ბუნებრივია, როდესაც საუბარი გვაქვს დიდ რაოდენობა საქონლის მოძრაობაზე, აქ ძალიან მნიშვნელოვანია, დეტალურად იქნას განმარტებული ყველა სანქცია, რაც დაწესებულია.

საფინანსო სექტორში ამ სისტემას მიერთებულია საქართველოს საფინანსო სექტორი, ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ქმედებები უზრუნველყოფს შედეგს, რაც ამ მიმართულებით უნდა დადგეს. ეროვნული ბანკის სახით საფინანსო სექტორს ჰყავს ძალიან მყარი და საიმედო რეგულატორი, შესაბამისად, ამ მიმართულებით რაიმე სირთულეებს არ ველოდებით. რაც შეეხება საქონელთა მიმართებით – ინდივიდუალურად როგორც დიდ ბრიტანეთს, ასევე აშშ-ს და ევროკავშირს აქვს დაწესებული კონკრეტული საქონლის ჩამონათვალი, რომლის რუსეთში შეტანა, მაგალითად, ევროკავშირიდან, ან რუსეთიდან ევროკავშირში შეტანა აკრძალულია.

ეს არ არის სრული ჩამონათვალი ნებისმიერი ტიპის საქონლისა. არის კონკრეტული ჩამონათვალი და მხოლოდ ამ ნაწილზე ვრცელდება აღნიშნული სანქციები. საქონლის ეს ჩამონათვალი ხელმისაწვდომია ევროკავშირის ვებ-გვერდზე, დიდი ბრიტანეთის ხაზინის ვებგვერდზე და ყველა იმ ქვეყნის მარეგულირებლის ვებ-გვერდზე, ვისაც სანქციები აქვს დაწესებული.

სანქციების აღსრულების ნაწილში ჩვენი პარტნიორების მხრიდან კითხვები არ არის. პირადად მქონდა შეხვედრა იმ ქვეყნის წარმომადგენლებთან, რომლებმაც უშუალოდ დააწესეს სანქციები და ისინი არიან სრულად ინფორმირებულები, რას აკეთებს საქართველო ამ მიმართულებით, – განაცხადა ლაშა ხუციშვილმა.

# როგორ გავიდა გამოძიება მშობლების მკვლელობაში ბრალდებულ გიორგი ბეროზაშვილზე

## ის დედის სიმმა გასცა

27 აპრილს ვაზისუბანში 29 წლის გიორგი ბეროზაშვილმა დედ-მამა მოკლა. შემდეგ კი, კვალის დაფარვის მიზნით, სახლში ხანძარი გააჩინა.

საქმის მასალების მიხედვით დგინდება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილმა თანამშრომელმა მამის განეიტრალების ოპერაციაზე ფიქრი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც ის პოლიციაში მუშაობდა, თავდაპირველად აპირებდა, რომ მამას დააჭერინებდა, თუმცა შემდეგ შეეშინდა, რომ ასევე ყოფილი პოლიციელი ციხიდან გამოსვლის შემდეგ შვილს ამას არ აპატიებდა.

გამოძიების ინფორმაციით, გიორგი ბეროზაშვილს ყველაფერი გათვლილი ჰქონდა, რომ მშობლებს ისე მოკლავდა და შემდეგ უბედური შემთხვევის ინსცენირებას ისე მოახდენდა, რომ მის კვალზე ვერ გავიდოდნენ, თუმცა ერთი საბედისწერო შეცდომით სავარაუდო დამნაშავე გაიშიფრა.

ირკვევა, რომ გიორგი ბეროზაშვილმა მკვლელობის შემდეგ საკუთარი და მშობლების მობილური ტელეფონები გათიშა, აპარატებიდან სიმ-ბარათები ამოიღო და მისი კუთვნილი მობილური მხოლოდ ნუცუბიძის ქუჩაზე ჩართო. თუმცა ბრალდებულს კარტები აერია და საკუთარ ტელეფონში დედის სიმ-ბარათი ჩადო, სადაც მეზობლის ზარი განხორციელდა, რომელიც ხანძრის შესახებ იტყობინებოდა.

სავარაუდოდ, ასე გავიდა შსს ყოფილი პოლიციელის კვალზე.

რაც შეეხება უშუალოდ მკვლელობას, ბეროზაშვილი ჩვენებაში ამბობს, რომ დედა იმიტომ მოიშორა, რომ ის მკვლელობის თვითმხილველი გახდა.

„მამაჩემის მკვლელობის შემდეგ, დების ოთახში წავედი, სადაც დედას ეძინა, როცა კარი შევაღე, თავი წამოწია, ვიფიქრე, რომ ის ჩემთვის საფრთხეს წარმოადგენდა, ვიფიქრე, რომ მამის მკვლელობა გაიგო. დედის მკვლელობაც გადავწყვიტე. დედასაც იარაღით თავში ვესროლე“ – წერს გიორგი (დუჩა) ბეროზაშვილი.



დედა ერთი გასროლით არის მოკლული, ირკვევა ისიც, რომ ბეროზაშვილმა დედა, ლელა თავაძე, დების ოთახში მოკლა, თუმცა შემდეგ დერეფანში გამოიტანა.

რაც შეეხება მამას, ის მთლიანად დამწვარი იყო.

გიორგი ბეროზაშვილის მიმართ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლო ინფორმაციას ავრცელებს.

სასამართლოს განმარტებით, დაკავებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის გამოყენების როგორც ფაქტობრივი, ისე ფორმალური საფუძვლები არსებობდა.

„2022 წლის 30 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიამ, განიხილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა ბრალდებულ გ.-დ.ბ.-ს მიმართ, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

გ.-დ.ბ.-ს ბრალად ედება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა, შენახვა, ტარება და განზრახ მკვლელობა, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახის ორი წევრის მიმართ.

საქმის მასალების თანახმად, გ.-დ.ბ.-მ მშობლებთან პირადი განაწყენების ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტისა და დაპირისპირების გამო, მათი მოკვლა განიზრახა. უკანონოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი და 27 აპრილს, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, მამის სახელზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღიდან, მძინარე მამას, ზ.ბ.-ს თავის არეში ესროლა. შემდეგ კი, მის მიერ უკანონოდ შეძენილი, სხვა ცეცხლსასროლი იარაღიდან, მძინარე დედას, ლ.თ.-ს ასევე თავის არეში მიაყენა ჭრილობა.

მიყენებული დაზიანების შედეგად, ზ.ბ. და ლ.თ. ადგილზე გარდაიცვალნენ. ზემოაღნიშნულის შემდეგ, დ.ბ.-მ კვალის წაშლის მიზნით, სახლში ყაჩაღობის ინსცენირება მოაწყო, დანაშაულის დაფარვის მიზნით, ზ.ბ.-ს ცხედარს და საცხოვრებელ ბინას ცეცხლი წაუკიდა.

შუამდგომლობის განხილვისას, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფაქტობრივი, ისე ფორმალური საფუძვლები. კერძოდ, დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების, მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელშეშლისა და მიმალვის საფრთხეები და თითოეული ამ საფრთხის ინტენსივობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, მიიღო გადაწყვეტილება, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე.

საქმეზე წინა სასამართლო სხდომა 2022 წლის 20 ივნისს გაიმართება“ – ნათქვამია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# მიხეილ სააკაშვილს გადაადგილება უჭირს

მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის შოთა თუთბერიძის განცხადებით, დაცვის მხარე სასამართლო პროცესზე ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, შუამდგომლობას აყენებს, რადგან სააკაშვილს გადაადგილება უჭირს.

მისივე ინფორმაციით, სასამართლო სხდომა მტკიცებულებათა გამოკვლევით გაგრძელდება.

– მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ბოლო ინფორმაცია, რომელიც მაქვს, არის ის, რომ არ გრძნობს თავს კარგად და უჭირს გადაადგილება. თუ ის სხდომას ვერ დაესწრება, ერთადერთი მიზეზი იქნება ის, რომ მას უჭირს გადაადგილება და აქვს ჯანმრთელობის პრობლემა.



რაც შეეხება თავად სხდომას, ამჟამად ვიმყოფებით მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე, ჩვენ გვექნება რამდენიმე შუამდგომლობა, მათ შორის, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. კონკრეტულად შუამდგომლობის შინაარსზე ამჟამად ვერ ვისაუბრებ, ვიდრე პროცესი არ დაიწყება, – აღნიშნა შოთა თუთბერიძემ.

სააკაშვილის ადვოკატმა, ნიკა გვარამიამ, კიდევ ერთხელ მოუწოდა მოსამართლეს, რომ „მიიღოს სპეციალური დავალებები პენიტენციურ ორგანოსთან დაკავშირებით, სპეციალური სახელობითი მითითებებით და არა ზოგადი მითითებით“.

გვარამიამ აღნიშნა, რომ ციხეში სომატური სიმპტომების მკურნალობაც არ მიმდინარეობს და მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა მძიმეა.

– ყოველი შემდეგი მისვლა არის ბევრად გაუარესებული მდგომარეობა, ამიტომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ 191-ე პრიმა მუხლის საფუძველზე გასცეს კონკრეტული დავალებები, მით უმეტეს, მუხლში მოცემულია აუცილებელი ზომები, – თქვა ნიკა გვარამიამ.

გარდა ამისა, ნიკა გვარამიამ განაცხადა, რომ საჭიროა მყისიერად მოხდეს მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობის კონსერვაცია:

– ამ წუთში სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება სრულად შედის თქვენ იურისდიქციაში, ეს როგორც უფლება და ასევე, სრულად შედის თქვენს იურისდიქციაში, როგორც მოვალეობა, იმიტომ, რომ მიმდინარეობს წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის ახალი ეპიზოდი, მე არ ვსაუბრობ იმაზე, რაზეც გამოძიება მიდის.

მან მოუწოდა მოსამართლეს, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით სპეციალისტების შეფასებები მოისმინოს.

მოსამართლემ შუამდგომლობას შემდეგნაირად უპასუხა:

– სასამართლოს შეუძლია ასეთი რამ გააკეთოს, რომ ის განჩინების ფარგლები, რაც ჩვენ 23 თებერვლის სხდომაზე გვაქვს მიღებული, დამატებით, წერილის სახით მივმართავთ ახლა პენიტენციურ დაწესებულებას და მოვითხოვთ მითითებს, რომ განჩინებიდან გამომდინარე, იმ ფარგლებში უზრუნველყონ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სათანადო ზომების მიღება, რაც გვაქვს, პროცედურულად ასევე მოვითხოვთ, რომ განემარტოს და აუცილებლად იქნეს დოკუმენტი წარმოდგენილი, შემდეგ სასამართლო სხდომაზე რომ ჩვენ შევძლოთ, თუ კონკრეტული პირი არ გამოცხადდება და ვერ გამოცხადდება, მაგრამ მე ვფიქრობ, ის შეძლებს გამოცხადებას შემდეგ სასამართლო სხდომაზე, როცა იქნება, რომ ჩვენ უფლებამოსილი ვიყოთ“, – თქვა მოსამართლემ, ნინო ელიაშვილმა.

კოლეგიამ აღნიშნა, რომ საკითხზე მომდევნო სხდომაზეც იმსჯელებენ. შემდეგი სასამართლო პროცესი ამ საქმეზე 20 მაისს, 3 საათზე ჩაინიშნა.

შეგახსენებთ, თბილისის საქალაქო სასამართლოში 7 ნოემბრის საქმეზე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი იმართება.

პროცესს ბრალდებული მიხეილ სააკაშვილი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ვერ ესწრება. სახელმწიფო ბრალდება მიხეილ სააკაშვილს 2007 წლის 7 ნოემბერს, მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრასა და ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდებას ედავება.

# სასამართლომ ენმ-ის წევრს, ჯელალ ქიქავას, პატიმრობა შეუფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ „ნაციონალური მოძრაობის“ აჭარის ორგანიზაციის წევრს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. ბრალდების მხარე ჯელალ ქიქავას სასამართლოს უპატივცემულობას ედავება.

საუბარია 28 მარტს გამართულ მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესზე, რომელსაც ქიქავა ესწრებოდა.

პროცესის მსვლელობისას პროკურორებსა და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს შორის სიტყვიერი დაპირისპირების გამო, ის სასამართლოდან გააძევეს და 500-ლარიანი ჯარიმაც დააკისრეს, თუმცა პროკურატურამ 1 თვის შემდეგ დაადგინა, რომ ჯელალ ქიქავამ სასამართლოს მიმართ უპატივცემულობა გამოიჩინა.

– საქმეს განიხილავდა იგივე მოსამართლე, ვინც დაუსაბუთებლად გასცა დაკავების განჩინება. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მხარის არგუმენტაცია იყო ძალიან სუსტი და პატიმრობის არანაირი საფუძველი არ არსებობდა, ჯელალ ქიქავას შეუფარდა პატიმრობა. მიგვაჩნია, რომ ეს არის მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური მომხრეების ცალსახად დასჯა. ამით პროკურატურა ოპოზიციას და ყველას, სრულ სპექტრს უქნევს ხელს, – ამბობს ადვოკატი შოთა თუთბერიძე.

თანაგუნდელები მოსამართლის გადაწყვეტილებას პოლიტიკურს უწოდებენ. გარდა ამისა, მოსამართლემ სასამართლო პროცესზე არც ჯელალ ქიქავას თანაგუნდელები და არც მედიის წარმომადგენლები დაუშვა.

# სასაზღვრო პოლიციამ 10 კგ ჰეროინი ამოიღო

## დაკავებულია 2 უცხოელი



სასაზღვრო პოლიციამ 10 კილოგრამზე მეტი „ჰეროინი“ ამოიღო, დაკავებულია უცხო ქვეყნის 2 მოქალაქე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა წითელ ხიდზე, სასაზღვრო სექტორის „ვახტანგისის“ დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად აზერბაიჯანის რესპუბლიკის ორი მოქალაქე – 1998 წელს დაბადებული უ. ტ. და 1989 წელს დაბადებული ე. მ. დააკავეს.

მათ ბრალად საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადმოკვეთა, ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა და შემოტანა ედებათ.

დანაშაულები 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, ჯგუფურად, უკანონოდ გადმოკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და მართლსაწინააღმდეგოდ შემოიტანეს 10 კილოგრამზე მეტი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და

მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

# ზუგდიდელი ლაშა ბობოხია თბილისის ზღვაზე გარდაცვლილი იპოვეს

თბილისის ზღვაზე 34 წლის ლაშა ბობოხია 29 აპრილს გარდაცვლილი იპოვეს.

არსებული ინფორმაციით, იგი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაიას მკვიდრი იყო და თბილისში მშენებლობაზე მუშაობდა.

– წინა დღით მამისთვის დაურეკავს, საქმე მაქვს შენთან და ჩამოდიო. მამა რომ ჩავიდა, ბინაში არ დახვდა და დაუწყეს ძებნა. რაღაც გარკვეული თანხა ჰქონია სახლიდან გასვლამდე, ვერც ბინაში და ვერც ადგილზე თანხა ვერ იპოვეს. (დაახლოებით 500 ლარი). ჯანმრთელობის პრობლემაც ჰქონდა ახალგაზრდა ბიჭს, არავინ არ იცის, რა მოხდა, – უთხრა „პრაიმთაიმს“ სოფლის მკვიდრმა მ. ფიფიამ.

ახალგაზრდა კაცის ცხედარი მშობლიურ სოფელში ჩაასვენეს.

# პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო

## დაკავებულია 6 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისში, გურიისა და იმერეთის რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს. ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დაკავებულია 6 პირი.

ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს.

შსს-ს ინფორმაციით, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1991 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ლ.ჟ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 15 ვაზნა.

გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1963 წელს დაბადებული ჯ.ჯ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში დააკავეს. პოლიციამ, ჯ.ჯ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო: კალაშნიკოვის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ვინჩესტერის ტიპის სანადირო თოფი, მჭიდი და 20 საბრძოლო ვაზნა.

ამავე დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა კი, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1968 წელს დაბადებული ზ.ღ. დააკავეს. ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოღებულია ორლულიანი სანადირო თოფი, რევოლვერი და 15 საბრძოლო ვაზნა.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1993 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი დ.ა. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისთვის ზესტაფონში დააკავეს. მისი საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე სათავსოს ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოღებულია კალაშნიკოვის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, პისტოლეტი, 2 მჭიდი და 30 საბრძოლო ვაზნა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის და წალენჯიხის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სხვადასხვა დროს, 1974 წელს დაბადებული, წარსულში მკვლელობისთვის ნასამართლევი გ.მ. და 1967 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი ვ.ქ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულების პირადი და ავტომობილის ჩხრეკის შედეგად, 2 პისტოლეტი, მჭიდი და ვაზნები ნივთმტკიცებად ამოიღო.



დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

# ზელენსკი: „მსოფლიო რუსების წინააღმდეგ არ არის, თუმცა მათ მხარს უკვე აღარავინ უჭერს“



– მსოფლიო რუსების წინააღმდეგ არ არის, თუმცა მათ მხარს უკვე აღარავინ უჭერს.

ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ავსტრალიური ტელეკომპანია ნაინ ნეთვორკისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

როგორც ზელენსკიმ აღნიშნა, მსოფლიო არ იზიარებს პუტინის პოლიტიკას, დიქტატურას და იმ ღირებულებებს, რომლებიც ადამიანის წამების შესაძლებლობას იძლევა.

– მსოფლიო აღარ იზიარებს დიქტატურას, მან ეს ყველაფერი უკვე გაიარა. ქვეყნების უმეტესობამ ეს უკვე გაიარა, როდესაც იყო ამა თუ იმ იმპერიის შემადგენლობაში, – განაცხადა ზელენსკიმ.

მისი თქმით, „უბრალოდ რუსეთში მოსახლეობას კვლავ და კვლავ აძლევენ ძველ საღეჭ რეზინს“, რათა მათ ახლიდან გადაამუშაონ ეს საინფორმაციო პოლიტიკა, რომ თითქოს ისინი იძულებულები არიან ჩაიკეტონ და იზოლირდნენ მსოფლიოსგან, რათა დაიცვან საკუთარი ფასეულობები.

– ფასეულობა არ არის ადამიანების დახოცვა, სხვისი კუთვნილის მიტაცება, ადამიანთა წამება. არ ვფიქრობ, რომ უნდა ითქვას, რომ ისინი არაფერ შუაში არიან, რომ გაგიჟდნენ და ბრძანებებს არცთუ ისე ადეკვატური ადამიანები იძლევიან, ვფიქრობ, მათ ესმით, რასაც აკეთებენ, – განაცხადა ზელენსკიმ.

მისი თქმით, მათ მსოფლიო გახადეს ისეთ, როგორშიც თავს კომფორტულად გრძნობენ.

– თავის მიერ შექმნილ მსოფლიოში ისინი გვხოცავენ ჩვენ და არავის არ აღიარებენ, თუ ვინმეს განსხვავებული მოსაზრება აქვს. ეს განსხვავებული აზრის მკვლელობაა, – განაცხადა ზელენსკიმ.

# სომხეთში 125 კაცი დააკავეს



სომხეთის პოლიციამ ერევანში „დაუმორჩილებლობის აქციის“ 125 მონაწილე დააკავა. მედიის ინფორმაციით, მომიტინგეები მაშინ დააკავეს, როდესაც სამართალდამცავები გადაკეტილი ქუჩების გახსნას ცდილობდნენ.

პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანისა და მისი გუნდის გადადგომის მოთხოვნით „დაუმორჩილებლობის აქცია“ ერევანში 2 მაისს დილიდან მიმდინარეობს.

აქცია ოპოზიციამ 1 მაისს გამართული საპროტესტო აქციის დროს დააანონსა.

აქციის მონაწილეების ნაწილმა საფრანგეთის მოედანზე კარვები გაშალა და ღამე ქუჩაში გაათენა.

ისინი აცხადებენ, რომ სახლში არ წავლენ, სანამ მიზანს არ მიაღწევენ.

# ახალმა ზელანდიამ 170 რუს დეპუტატს სანქციები დაუწესა



ახალმა ზელანდიამ უკრაინაში შეჭრის საპასუხოდ რუს დეპუტატებსა და თავდაცვის სექტორის კომპანიებსა და ორგანიზაციებს სანქციები დაუწესა.

– რადგან პრეზიდენტი პუტინის ომის მანქანა აგრძელებს უკანონო თავდასხმებს, მოწოდებული ვართ, დავაკისროთ საფასური მათ, ვინც ამაში მონაწილეობს, – განაცხადა ახალი ზელანდიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნანაია მაჰუტამ.

სანქციები დაუწესდა რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის 170 წევრს, ფედერაციის საბჭოს და თავდაცვის სექტორის 6 კომპანიასა და ორგანიზაციას.

ამასთან, კიდევ უფრო გაფართოვდა შეზღუდვის ზომები 400-ზე მეტი პირის წინააღმდეგ, რომლებსაც ახალ ზელანდიაში მოგზაურობასთან დაკავშირებული აკრძალვა უკვე დაწესებული ჰქონდათ.

# ერდოღანი: „ამ კვირაში გვექნება მოლაპარაკებები პუტინთან“



უკრაინის აღმოსავლეთში სიტუაციის შესამსუბუქებლად გადასადგმელი ნაბიჯების გადაწყვეტის ადგილი ანკარა ან სტამბოლი იქნება, – თურქული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა.

თურქეთის პრეზიდენტის თქმით, მისი პრესმდივანი იბრაჰიმ კალინი და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სედათ ონალი შაბათს ერთად გაემგზავრნენ კიევში, სადაც გამართეს შეხვედრები უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან და ქვეყნის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან.

– ალბათ, ამ კვირაში გვექნება მოლაპარაკებები ბატონ პუტინთან. მაინტერესებს, როგორ დავაჩქაროთ ევაკუაცია, მაგალითად, მარიუპოლში, როგორ ვიპოვოთ ამ საკითხის გადაწყვეტა და შევეცდებით ამის გაკეთებას, – განაცხადა ერდოღანმა.

მისი თქმით, თურქეთი ყველა ღონეს მიმართავს რუსეთისა და უკრაინის ლიდერების შეხვედრის ორგანიზებისთვის.

# რუსეთის ზოგიერთმა ელიტარულმა ქვედანაყოფმა დიდი დანაკარგები განიცადა



ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო დაზვერვის განახლებულ მონაცემებს ავრცელებს.

ბრიტანული დაზვერვის ინფორმაციით, ომის დაწყებიდან დღემდე რუსეთმა გამოიყენა 120-ზე მეტი ბატალიონის ტაქტიკური ჯგუფი, რაც მისი მთლიანი სახმელეთო საბრძოლო ძალის დაახლოებით 65 პროცენტია.

„სავარაუდოა, რომ ამ დანაყოფების მეოთხედზე მეტი ახლა საბრძოლველად არაეფექტურია. რუსეთის ზოგიერთმა ყველაზე ელიტარულმა ქვედანაყოფმა, მათ შორის საჰაერო სადესანტო ძალებმა, დიდი დანაკარგები განიცადა.

რუსეთს ამ ძალების აღსადგენად ალბათ, წლები დასჭირდება“, – ნათქვამია ბრიტანეთის დაზვერვის განცხადებაში.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ტატო გრიგალაშვილი და ლუკა მაისურაძე ევროპის ჩემპიონები გახდნენ



ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ძიუდოისტთა ევროპის ჩემპინატი დასრულდა. საქართველოს დელეგაციამ ევროპირველობა 4 მედლით დაამთავრა – 2-2 ოქრო-ბრინჯაო.

ჩემპიონები ტატო გრიგალაშვილი (81) და ლუკა მაისურაძე (90) გახდნენ, ხოლო ბრინჯაოს მედლები გურამ თუშიშვილმა (+100) და ეთერ ლიპარტელიანმა ირგუნეს. შედეგად, საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველო მე-3 ადგილზე გავიდა, ხოლო კაცებში – მე-2-ზე.

22 წლის გრიგალაშვილმა ევროპის ჩემპიონობა მეორედ მოახერხა. ქართველმა ძიუდოისტმა ფინალში ბელგიელი მატიას კასე დაამარცხა. მანამდე კი, ჯერ ფინელი ოსკარ მაკინენი დაამარცხა, შემდეგ გერმანელი ტიმ გრამკოვი, ვისაც მეოთხედფინალში უნგრელ ატილა უნგვარი მიაყოლა, ხოლო ნახევარფინალში – უკრაინელი სერგიი კრივჩაჩი.

მაისურაძე კი, კონტინენტის ჩემპიონი პირველად გახდა. ჩვენებურმა ფინალში სერბი დარკო ბრასნიოვიჩი დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შედგა. ოქროსკენ მიმავალ გზას კი, ესტონელი კლეფ კრისტოფერ კალჯულაიდის ძლევით შეუყვა, ვისაც სლოვაკი პეტერ ძილკა, რუმინელი ალექს კრეტი და უნგრელი კრისტიან ტოტი მიაყოლა.

ყველაზე პრესტიჟულ, მძიმე წონაში კი, თუშიშვილმა გერმანელი ლოსსენ კონე დაამარცხა, მეოთხედფინალში ნიდერლანდელ როი მეიერი იპონით ჩამოიცილა, მაგრამ ნახევარფინალში ნიდერლანდელ იურ სპაიკერთან იპონით დამარცხდა. ბრინჯაოსთვის ბრძოლა კი, უკრაინელ იაკივ ხამოს მოუგო.

ეთერ ლიპარტელიანმა კი ისტორია დაწერა და პირველი ქართველი ქალი ძიუდოისტი გახდა, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე მედალი მოიპოვა. ქართველ ქალ ძიუდოისტზე გვაქვს საუბარი, თორემ ჩვენი ნაკრების სახელით ევროპირველობის ბრინჯაო ნიდერლანდელ ესტერ სტამსაც მოუპოვებია.

ლიპარტელიანმა ჯერ პოლონელი არლეტა პოდოლაკი დაამარცხა, შემდეგ – ფრანგი პირსცილა გნეტო. თუმცა, ნახევარფინალში ასევე ფრანგ სარა ლეონე კისიკესთან წააგო.

ბრინჯაოს მედლისთვის ლიპარტელიანი ჩეხ ვერა ზემანოვას დაეჭიდა. ეთო აქტიური იყო, მეტოქე ორჯერ გააფრთხილებინა, შემდეგ კი, იპონზე დასცა.

**კიდევ შვიდი მონაწილე უმედლოდ დარჩა:** ჯაბა პაპინაშვილი, ლუხუმ ჩხვიმიანი (ორივე 60), ვაჟა მარგველაშვილი (66), ლაშა შავდათუაშვილი (73), ვარლამ ლიპარტელიანი, ილია სულამანიძე (ორივე 100) და სოფიო სომხიშვილი (+78).

# ქუთაისი და ბათუმი სერიაში დაწინაურდნენ




საკალათბურთო სუპერლიგის ფლეი ოფის კიდევ 2 სერია გაიხსნა და ორივე მათგანის მატჩები რეგიონებში გაიმართა. ქუთაისში სულაც 2 რეგიონის გუნდი დაუპირისპირდა ერთმანეთს – რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულმა ქუთაისმა მე-8 ადგილზე გასულ რუსთავს უმასპინძლა. შეხვედრა გუნდების მიერ დაკავებული ადგილების შესაფერისად – ქუთაისის დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა – 100:76.

კოტე ტულუშის გაწვრთნილ იმერულ კლუბს ფლეი ოფში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს, ისევე, როგორც რუსთავს, მაგრამ მხოლოდ გამოცდილებით ვერაფერს გახდები, თუ კონკურენტუნარიანი შემადგენლობა არ გყავს. ანატოლი ბოისას გაწვრთნილ ქვემოქართლურ გუნდს თითქოს რიგიანი ლეგიონერები ჰყავს და არც ადგილობრივები არიან სუსტები, მაგრამ რუსთავი მთელი სეზონია, ვერა და ვერ გაიხსნა. მეტიც, გასული სეზონის ჩემპიონი ბოლო ტურებამდე გასავარდნ ზონაში იყო და საბოლოოდ ფლეი ოფშიც ბოლო გამსვლელი ადგილი დაიკავა.

პირველ მატჩში რუსთაველებმა ვერაფერი განსხვავებული ვერ შესთავაზეს ფავორიტ მეტოქეს. ქუთაისს მხოლოდ პირველ პერიოდში შეხვდა წინააღმდეგობა, რის შემდეგაც სრულ უპირატესობას დაეუფლა და საბოლოოდ 24 ქულით გაიმარჯვა.

მასპინძლებს ეროვნული ნაკრების წევრმა გიორგი კორსანტიამ ულიდერა – 20 ქულა, 12 მოხსნა, 3 პასი და 3 ჩაჭრა. ჯარვის რეიმ 14 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა, ადრიან ბოუის ანგარიშზე კი, 14 ქულა და 8 პასი დაგროვდა. რუსთავში 20 ქულითა და 13 მოხსნით საუკეთესო იყო რაჰიმ ჯონსონი, 19 ქულა მიხეილ ჭოჭუამ მიითვალა.

სერიის მეორე შეხვედრა კვლავ ქუთაისის სპორტის სასახლეში გაიმართება.

დაახლოებით ანალოგიური სცენარით წარიმართა მატჩი ბათუმშიც, სადაც სათამაშოდ ვერა ჩავიდა. ბათუმმა და ვერამ ცხრილში შესაბამისად 4-5 ადგილები დაიკავეს, მაგრამ ბრძოლა არ შედგა.

დავით გასიტაშვილის გაწვრთნილი ვერამ, შესუსტებული შემადგენლობის გამო, ბათუმს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ყოველ შემთხვევაში პირველ მატჩში ასე გამოჩნდა. ზღვისპირელებმა თავიდანვე მოიპოვეს ლიდერობა და შეხვედრა ისე დამთავრდა, მასპინძელთა დომინირება ეჭვქვეშ არ დამდგარა. საბოლოოდ, ბათუმმა მეტოქე – 102:82 დაამარცხა და სერიაში დაწინაურდა.

გამარჯვებულთაგან 19 ქულით ბომბარდირი კაილი რიდლი გახდა. ყველაზე შედეგიანი კი ბექა ბექაური გახდა – 12 ქულა, 11 მოხსნა, 3 პასი და 3 დაფარება. ვერამ ერთი ლეგიონერით ითამაშა, რომელიც გუნდში საუკეთესო იყო – ობრი მაკალპინმა 33 ქულა მიითვალა.

სერიის მეორე შეხვედრაც ბათუმში გაიმართება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

საზოგადოება

# გაგა ჩხეიძე: „კინოაკადემიის გადაწყვეტილება, შეეწყვიტა სალომე ჯაშის ფილმის ჩვენება, ეწინააღმდეგება აკადემიის წესდებას“



აცხადებს ეროვნული კინოცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი გაგა ჩხეიძე:

– კინოაკადემიის გადაწყვეტილება, შეეწყვიტა სალომე ჯაშის ფილმის ჩვენება, ეწინააღმდეგება აკადემიის წესდებას, საქართველოს კონსტიტუციას და კანონს კულტურის შესახებ.

როგორც ჩანს, ეს არის აკადემიის პრეზიდენტის ერთპიროვნული გადაწყვეტილება. მე, როგორც აკადემიის რიგითი წევრი, მოვუწოდებ მმართველ ორგანოს – კინოაკადემიის გამგეობას, სასწრაფოდ ჩაატარონ სხდომა და გადადგან ქმედითი ნაბიჯები სეანსების აღდგენისთვის.

დაუშვებელია, რომ შემოქმედებითი გაერთიანება, რომელიც კინემატოგრაფისტების ინტერესებს უნდა იცავდეს, პირიქით, ხელს უშლიდეს ნაწარმოების გავრცელებას პოლიტიკური მოტივით.

სალომე ჯაშის ფილმი ნომინირებული იყო ევროპის კინოაკადემიის ჯილდოზე დეკემბერში და ეს ნომინაცია არის ქართული კინოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმატება ბოლო წლებში.

რამდენიმე კინემატოგრაფისტმა გამოთქვა კინოაკადემიის დატოვების სურვილი. მე მიმაჩნია, რომ პირიქით, აკადემიის წევრებმა და სხვებმაც ჩვენთან ერთად უნდა იბრძოლონ ნებისმიერი კულტურული სივრცისთვის, რათა ისინი ცენზორებმა და დიქტატორებმა არ დაიკავონ. თავად ორგანიზაცია საჭიროებს ძირეულ რეფორმას და ეს რეფორმა აუცილებლად დადგება მალე დღის წესრიგში.

ფილმის აკრძალვის ფაქტი კი აზიანებს როგორც საქართველოს კინოაკადემიის, ისე ქვეყნის იმიჯს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ჯანო ანანიძე: „ტრავმებმა დამღალა“



საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელმა ჯანო ანანიძემ კარიერის დასრულება გადაწყვიტა. აქტიური სპორტიდან ანანიძე ძალიან ადრე, 29 წლის ასაკში მიდის. მისი საფეხბურთო კარიერის მთავარი წინადადება 2009 წლის ზაფხულს უკავშირდება.

**ჯანო ანანიძე:**

– მე გავაკეთე ჩემი არჩევანი. მე ქართველი ვარ და ვითამაშებ ჩემი ქვეყნის ნაკრებში.

სწორედ ამ ფრაზით იწყება მისი გამოსამშვიდობებელი სიტყვა გულშემატკივართან, რომელიც ფეხბურთელმა სოციალური ქსელით გაავრცელა. მის ქომაგებს ეს რამდენიმე წინადადება არასდროს დაავიწყდება. საქართველოს ნაკრების თითოეულ მხარდამჭერს ამ ფრაზების მოსმენა 13 წლის წინ ყველაზე მეტად სურდა და ეს ყველაფერი ფეხბურთელმა კარიერის საწყის ეტაპზე, 16 წლის ასაკში სწორედ მაშინ თქვა, როდესაც მისი ტალანტის გამოყენება სხვა ქვეყანას სურდა.

2009 წლის ზაფხულში ახალგაზრდა ფეხბურთელის ნათქვამ ფრაზას, შემოდგომაზე პირველი სანაკრებო მიწვევა მოყვა. ჯანო ანანიძის დებიუტი იტალიის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ ამავე წლის 5 სექტემბერს შედგა. „დინამო არენას“ სავსე ტრიბუნების ფონზე, 16 წლის, 10 თვისა და 26 დღის ასაკში ჯანო ანანიძემ საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურით სადებიუტო 59 წუთი ითამაშა. მისი სანაკრებო კარიერა ვარსკვლავურ იტალიასთან მატჩით დაიწყო.

სადებიუტო გოლი 2010 წლის 17 ნოემბრით თარიღდება. ამხანაგურ შეხვედრაში მის მიერ გატანილი გოლით საქართველოს ნაკრებმა სტუმრად სლოვენია 2:1 დაამარცხა. ჯანოს სანაკრებო კარიერა ჯამში 45 შეხვედრას, 7 გოლს და 6 პასს ითვლის. ბოლო სანაკრებო თამაში 2019 წლის 15 ოქტომბრით თარიღდება, როდესაც საქართველოს ნაკრებმა სტუმრად გიბრალტარს 3:2 მოუგო. ამ მატჩიდან თითქმის 3 წლის შემდეგ, გულშემატკივრისთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება ფეხბურთელმა საკუთარ წერილში ახსნა.

– დღეს არჩევანის წინაშე ვარ, თუმცა ამჯერად სასწორზე, კარიერასთან ერთად, უკვე ჩემი ჯანმრთელობა დევს და ამ არჩევანსაც ჩემ ოჯახთან ერთად მივიღებ. როცა 16 წლის ვიყავი, სხვა არჩევანი ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის არ განიხილებოდა. მაშინ დიდ ფეხბურთში ადგილის დამკვიდრებას ვიწყებდი და სწორედ ამ არჩევანმა განაპირობა იმ პატარა ასაკში, ჩემთვის საქართველოს ნაკრების მაისურის მორგება, რომლის რიგებშიც გატარებული თითოეული წუთი, ყოველთვის დაუვიწყარი იქნება, რადგან ნაკრები სხვა ფენომენია და ნაკრებში თამაში სხვა ბედნიერებაა.

საქართველოს ნაკრების გულშემატკივარს, ხშირად დანაკლისის შეგრძნება ჰქონდა, როდესაც ჯანო ანანიძე განაცხადში არ იყო. ამის მიზეზი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამოწვეული უილბლობა იყო. ამ ეტაპებს ფეხბურთელი ემოციურად იხსენებს:



– აღარც ასაკით ვარ პატარა და სიმართლე გითხრათ, ძალიან დამღალა ამ დაუსრულებელმა და მოუშუშებელმა ტრავმებმა. კარიერის მანძილზე ძალიან ბევრი ვიბრძოლე, ბევრი ტკივილი ავიტანე, საოპერაციო მაგიდაზეც ბევრჯერ ვიწექი. არასოდეს დამიშურებია ძალა და ენერგია იმისთვის, რომ წაქცეული, ისევ ფეხზე დავმდგარიყავი, ისევ მეთამაშა ჩემი და გულშემატკივრის სიამოვნებისათვის. ეს თქვენი გვერდში დგომის გამო ხდებოდა, რისთვისაც ყოველთვის თქვენი მოვალე ვიქნები.

ანანიძემ კარიერის დიდი ნაწილი მოსკოვის სპარტაკში გაატარა. იყო როსტოვის, კრილია სოვეტოვის, ფამაგუსტას ანორთოსისის, როტორის, თბილისისა და ბათუმის დინამოს ფეხბურთელი:

– ბევრ გუნდში ვითამაშე, ტიტულიც მოვიპოვე, მაყურებლის ტაში და სიყვარულიც დავიმსახურე და საკუთარ თავზე ბევრჯერ შევიგრძენი ის გრძნობა, რომელსაც ვერასდროს ვერაფერი შეედრება. ეს ყველაფერი მართლა ძალიან დამაკლდება, მაგრამ ვთვლი, რომ წასვლის დროა...

ასე სრულდება წერილი, რომელიც ჯანო ანანიძემ 2022 წლის 29 აპრილს გამოაქვეყნა. მისი სანაკრებო კარიერის მატჩები უკვე ქართული ფეხბურთის ისტორიაა.

**ალექსანდრე იაშვილი, სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტი:**

– ჯანოს გადაწყვეტილებას ყველა პატივს ვცემთ. ჩემთვის, ისე როგორც საქართველოს ნაკრების ყველა გულშემატკივრისთვის, სამწუხაროა ასეთ ასაკში კარიერის დასრულება.

საქართველოს ნაკრებში გვერდიგვერდ ვითამაშეთ, ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად ყოველთვის გამორჩეული იყო მოედანზე. საწყენია 29 წლის ასაკში თქვა უარი იმ სივრცეზე, სადაც ყველაზე მეტი დრო გაქვს გატარებული.

მადლობა ჯანო, შენ იყავი და ყოველთვის დარჩები ქართული ფეხბურთის გამორჩეულ წევრად.

**ლევან კობიაშვილი, სფფ-ის პრეზიდენტი:**

– ძალიან საწყენია, რომ ეროვნული ნაკრების ფეხბურთელმა, ჯანო ანანიძემ საფეხბურთო კარიერა დაასრულა. ჯანო ქართული ფეხბურთის გამორჩეული და განსაკუთრებულად ნიჭიერი ფეხბურთელი იყო.

ჯანოსთან ერთად საქართველოს ნაკრების მაისურით პირველად 2009 წელს, მისთვის სადებიუტო შეხვედრაში ვითამაშე. ის მოედანზე ყოველთვის ბოლომდე იხარჯებოდა და საკუთარი ქვეყნის ნაკრების სახელს იცავდა.

დიდი მადლობა ჯანოს საქართველოს ნაკრებში გატარებული თითოეული წუთისთვის. მადლობა ჯანო!



**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**კლარა წიტაიშვილი:** კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

**თინა სორდია:** კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მელლება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166.**
**მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## შედეგები

### 1 მაისი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ტოტენჰემი-ლესტერი | 3:1 |
| ევერტონი-ჩელსი | 1:0 |
| ვესტ ჰემი-არსენალი | 1:2 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 34 | 26 | 5 | 3 | 84-21 | 83 |
| 2.ლივერპული | 34 | 25 | 7 | 2 | 86-22 | 82 |
| 3.ჩელსი | 34 | 19 | 9 | 6 | 68-29 | 66 |
| 4.არსენალი | 34 | 20 | 3 | 11 | 54-41 | 63 |
| 5.ტოტენჰემი | 34 | 19 | 4 | 11 | 59-39 | 61 |
| 6.მანჩესტერი | 35 | 15 | 10 | 10 | 54-52 | 55 |
| 7.ვესტ ჰემი | 35 | 15 | 7 | 13 | 53-46 | 52 |
| 8.ვულვზი | 34 | 15 | 4 | 15 | 33-32 | 49 |
| 9.ბრაიტონი | 35 | 10 | 14 | 11 | 34-42 | 44 |
| 10.ნიუკასლი | 35 | 11 | 10 | 14 | 40-56 | 43 |
| 11.ლესტერი | 33 | 11 | 9 | 13 | 48-54 | 42 |
| 12.კრ.პალასი | 34 | 9 | 14 | 11 | 45-42 | 41 |
| 13.ასტონ ვილა | 33 | 12 | 4 | 17 | 44-46 | 40 |
| 14.ბრენტფორდი | 34 | 11 | 7 | 16 | 41-49 | 40 |
| 15.საუთჰემპტონი | 35 | 9 | 13 | 13 | 41-58 | 40 |
| 16.ბარნლი | 34 | 7 | 13 | 14 | 31-46 | 34 |
| 17.ლიდსი | 34 | 8 | 10 | 16 | 38-72 | 34 |
| 18.ევერტონი | 33 | 9 | 5 | 19 | 35-55 | 32 |
| 19.უოტფორდი | 34 | 6 | 4 | 24 | 32-69 | 22 |
| 20.ნორვიჩი | 34 | 5 | 6 | 23 | 22-71 | 21 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ელჩე-ოსასუნა | 1:1 |
| გრანადა-სელტა | 1:1 |
| რაიო-სოსიედადი | 1:1 |
| ბარსელონა-მალიორკა | 2:1 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 34 | 25 | 6 | 3 | 73-29 | 81 |
| 2.ბარსელონა | 34 | 19 | 9 | 6 | 63-34 | 66 |
| 3.სევილია | 34 | 17 | 13 | 4 | 50-28 | 64 |
| 4.ატლეტიკო | 34 | 18 | 7 | 9 | 59-41 | 61 |
| 5.ბეტისი | 33 | 17 | 6 | 10 | 56-38 | 57 |
| 6.სოსიედადი | 34 | 15 | 11 | 8 | 33-32 | 56 |
| 7.ვილიარეალი | 34 | 14 | 10 | 10 | 54-33 | 52 |
| 8.ბილბაო | 34 | 13 | 12 | 9 | 41-34 | 51 |
| 9.ოსასუნა | 34 | 12 | 9 | 13 | 35-45 | 45 |
| 10.ვალენსია | 34 | 10 | 13 | 11 | 45-49 | 43 |
| 11.რაიო | 34 | 11 | 8 | 15 | 35-39 | 41 |
| 12.სელტა | 34 | 10 | 10 | 14 | 37-38 | 40 |
| 13.ელჩე | 34 | 10 | 9 | 15 | 37-45 | 39 |
| 14.ესპანიოლი | 34 | 10 | 9 | 15 | 37-49 | 39 |
| 15.ხეტაფე | 33 | 8 | 11 | 14 | 31-37 | 35 |
| 16.კადისი | 34 | 6 | 14 | 14 | 30-47 | 32 |
| 17.მალიორკა | 34 | 8 | 8 | 18 | 30-56 | 32 |
| 18.გრანადა | 34 | 6 | 13 | 15 | 37-57 | 31 |
| 19.ალავესი | 34 | 7 | 7 | 20 | 28-56 | 28 |
| 20.ლევანტე | 34 | 5 | 11 | 18 | 42-66 | 26 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ამორებიეტა-ფუენლაბრადა | 2:1 |
| ალკორკონი-ხირონა | 0:1 |
| ხიხონი-იბიცა | 0:1 |
| ლუგო-ტენერიფე | 0:2 |
| პონფერადინა-კარტახენა | 4:2 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| იუვენტუსი-ვენეცია | 2:1 |
| მილანი-ფიორენტინა | 1:0 |
| ემპოლი-ტორინო | 1:3 |
| უდინეზე-ინტერი | 1:2 |
| რომა-ბოლონია | 0:0 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 35 | 23 | 8 | 4 | 61-30 | 77 |
| 2.ინტერი | 35 | 22 | 9 | 4 | 74-29 | 75 |
| 3.ნაპოლი | 35 | 21 | 7 | 7 | 67-31 | 70 |
| 4.იუვენტუსი | 35 | 20 | 9 | 6 | 54-31 | 69 |
| 5.ლაციო | 35 | 17 | 8 | 10 | 70-53 | 59 |
| 6.რომა | 35 | 17 | 8 | 10 | 55-40 | 59 |
| 7.ფიორენტინა | 35 | 17 | 5 | 13 | 54-47 | 56 |
| 8.ატალანტა | 34 | 15 | 10 | 9 | 61-43 | 55 |
| 9.ვერონა | 35 | 14 | 10 | 11 | 61-52 | 52 |
| 12.ტორინო | 35 | 12 | 11 | 12 | 45-37 | 47 |
| 11.სასუოლო | 35 | 12 | 10 | 13 | 60-61 | 46 |
| 12.უდინეზე | 35 | 10 | 13 | 12 | 54-54 | 43 |
| 13.ბოლონია | 35 | 11 | 10 | 14 | 39-48 | 43 |
| 14.ემპოლი | 35 | 9 | 10 | 15 | 46-66 | 37 |
| 15.სამპდორია | 35 | 9 | 6 | 20 | 42-57 | 33 |
| 16.სპეცია | 35 | 9 | 6 | 20 | 37-63 | 33 |
| 17.კალიარი | 35 | 6 | 10 | 19 | 32-64 | 28 |
| 18.ჯენოა | 35 | 3 | 16 | 16 | 25-55 | 25 |
| 19.სალერნიტანა | 33 | 6 | 7 | 20 | 28-70 | 24 |
| 20.ვენეცია | 34 | 5 | 7 | 22 | 28-63 | 22 |

**საფრანგეთი. ლიგა 1**

| | |
|---|---|
| ტრუა-ლილი | 3:0 |
| ბრესტი-კლერმონი | 2:0 |
| ლორიანი-რეიმსი | 1:2 |
| მონაკო-ანჟე | 2:0 |
| მონპელიე-ნიცა | 2:2 |
| ბორდო-ნიცა | 0:1 |
| მარსელი-ლიონი | 0:3 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 35 | 24 | 7 | 4 | 79-34 | 79 |
| 2.მარსელი | 35 | 19 | 8 | 8 | 56-36 | 65 |
| 3.რენი | 35 | 19 | 5 | 11 | 77-36 | 62 |
| 4.მონაკო | 35 | 18 | 8 | 9 | 57-35 | 62 |
| 5.ნიცა | 35 | 18 | 7 | 10 | 44-29 | 60 |
| 6.სტრასბური | 35 | 15 | 12 | 8 | 58-39 | 57 |
| 7.ლიონი | 35 | 15 | 11 | 9 | 59-45 | 55 |
| 8.ლანსი | 35 | 15 | 10 | 10 | 55-44 | 55 |
| 9.ნანტი | 35 | 14 | 9 | 12 | 50-43 | 51 |
| 10.ლილი | 35 | 13 | 12 | 10 | 42-43 | 51 |
| 11.ბრესტი | 35 | 13 | 9 | 13 | 45-48 | 48 |
| 12.რეიმსი | 35 | 10 | 13 | 12 | 38-38 | 43 |
| 13.მონპელიე | 35 | 12 | 7 | 16 | 48-53 | 43 |
| 14.ტრუა | 35 | 9 | 9 | 17 | 33-47 | 36 |
| 15.ანჟე | 35 | 8 | 11 | 16 | 38-53 | 35 |
| 16.ლორიანი | 35 | 8 | 10 | 17 | 34-59 | 34 |
| 17.კლერმონი | 35 | 8 | 9 | 18 | 35-65 | 33 |
| 18.სტ.ეტიენი | 35 | 7 | 10 | 18 | 38-70 | 31 |
| 19.ბორდო | 35 | 5 | 12 | 18 | 47-85 | 27 |
| 20.მეცი | 35 | 4 | 13 | 18 | 31-62 | 25 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰერენვენი-კამბური | 3:3 |
| იგლზი-ვიტესი | 1:2 |
| პსვ-ტილბურგი | 4:2 |
| სიტარდი-ფეინოორდი | 1:3 |
| ვალვაიკი-გრონინგენი | 3:1 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

| | |
|---|---|
| გიმარაეში-სანტა კლარა | 1:1 |
| მორეირენშე-ბოავიშტა | 1:2 |
| სპორტინგი-ჟილ ვისენტე | 4:1 |

**ბელგია. ა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანტვერპენი-სენ ჟილუა | 0:0 |
| ანდერლეხტი-ბრიუგე | 0:0 |

**ავსტრია. თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ზალცბურგი-რიდი | 3:0 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| სელტიკი-რეინჯერსი | 1:1 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ალანია-მალათია | 2:1 |
| ქაისერი-ბეშიქთაში | 2:3 |
| გალათასარაი-სივასი | 2:3 |
| გიოზთეფე-რიზე | 1:7 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-იანინა | 3:2 |
| პანათინაიკოსი-არისი | 1:0 |
| პაოკი-აეკი | 1:1 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| სიონი-იანგ ბოიზი | 1:2 |
| ბაზელი-ციურიხი | 0:2 |
| ლუცერნი-ლოზანა | 3:0 |

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

| | |
|---|---|
| სლავია-პლზენი | 1:1 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| ნეცეჩა-პლოცკი | 1:0 |
| კრაკოვია-ვისლა | 0:0 |

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ზალაეგერსეგი-მტკ | 2:3 |
| უიპეშტი-დიორმოტი | 2:2 |

**დანია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| რანდერსი-ბრონდბიუ | 2:1 |
| მიდტიულანდი-კოპენჰაგენი | 0:0 |
| ვეილე-სონდერიისკე | 0:3 |
| ოდენსე-ორხუსი | 1:0 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| დეგერფორსი-ელფსბორგი | 0:6 |
| მიალბი-ჰელსინბორგი | 2:1 |
| სუნდსვალდი-აიკი | 0:2 |
| ჰაკენი-ვარბერგი | 3:1 |

**ნორვეგია. თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ბოდო გლიმტი-მიოლდე | 0:1 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 2. მონასტერი ხარაგაულის რაიონში; 3. ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 4. ბილიარდის ერთ-ერთი სახეობა; 5. ზღვის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. ქართველი კომიკოსი; 12. მოხეტიალე მომღერალი, მუსიკოსი ძველ საბერძნეთში; 14. აეროპორტი ტოკიოში; 15. გერმანული მსუბუქი ავტომობილი; 17. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 18. გარეგნული მომხიბვლელობა, შარმი.

**თარაზულად:** 6. დაბადების დღის აღნიშვნა; 7. ჩქარტემპიანი კუბური ცეკვა; 8. ჩანჩქერი არგენტინაში; 10. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 11. ტრიუკების შემსრულებელი კინოფილმებში; 13. სასამართლო განაჩენის გასაჩივრება უმაღლეს ინსტანციაში; 16. თმის, წვერის გამკრეჭი ხელოსანი; 19. საკონდიტრო ნაწარმი; 20. ჯუზეპე ვერდის ოპერა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კაფი; 2. ერა; 3. რეზონანსი; 4. ღორჯო; 5. მარტელი; 8. რური; 9. გორენიე; 10. დეპოზიტი; 12. მახვში; 13. პუარო; 15. ონიმა.

**თარაზულად:** 1. კაბალე; 6. კეჭნაობა; 7. ფურკა; 10. დუომო; 11. თრუსო; 13. პიერო; 14. ზლოტი; 16. ვერა; 17. ინგლისი; 18. ბოტასი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. გუდაუთა; 2. ფტორი; 3. გალენიტი; 4. ბაირამი; 5. ბურგუნდია; 9. მერანი; 12. სტელაჟი; 14. უზნაძე; 15. სუვა; 17. მანია; 18. ლისი.

**თარაზულად:** 6. მულატი; 7. კატმანდუ; 8. კაჰორი; 10. ნანდუ; 11. კასტანიეტა; 13. პუანსონი; 16. სტიგმა; 19. ისლანდია; 20. ნეგროიდი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

3 მაისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 3.0590


ევრო — 3.2190


დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.8439


100 რუსული რუბლი — 4.3043

## ამინდის პროგნოზი 3 მაისისათვის




## ხავი: „მატჩის ბოლოს უკეთესად უნდა გვეთამაშა“



ბარსელონამ საკუთარ მოედანზე მალიორკა დაამარცხა და წარუმატებელი მატჩების სერია შეწყვიტა, თუმცა მატჩის შემდეგ ხავი ერნანდესი ბოლომდე კმაყოფილი არ იყო და მისი აზრით, ბოლო წუთებზე ბარსელონამ კონცენტრაცია დაკარგა:

– გოლის გაშვება ჩვენს გეგმებში არ შედიოდა და, ბუნებრივია, ამან ჩვენზე უარყოფითად იმოქმედა და მიხარია, რომ მატჩი გამარჯვებამდე მივიყვანეთ. მომავალში უკეთ უნდა ვითამაშოთ.

## ბენზემა: „სიტისთან კონცენტრაცია ერთი წამითაც არ უნდა დავკარგოთ“



მადრიდის რეალის ფორვარდმა კარიმ ბენზემამ განაცხადა, რომ სიტის წინააღმდეგ შეხვედრაში მისი გუნდი მთელი მატჩის მანძილზე კონცენტრირებული უნდა იყოს და ისინი ვალდებულები არიან, რომ შეცდომები არ დაუშვან:

– ფინალში გასვლა შეგვიძლია, მაგრამ ამისთვის აუცილებელია, რომ ის ფეხბურთი ვაჩვენოთ, რომლის დროსაც ჩვენი მხრიდან შეცდომები მინიმალური იქნება. სიტი შეცდომებს არ გვაპატიებს.

## სალაჰის მომავალი კვლავ გაურკვეველია



ლივერპულის ეგვიპტელი ფორვარდის მოჰამედ სალაჰის მომავალი კვლავ გაურკვეველია და შესაძლოა მან ლივერპული დატოვოს, თუმცა ჯერ მას გადაწყვეტილება არ მიუღია. თუ სალაჰმა ეს გააკეთა, სავარაუდოდ, მისი მომავალი გუნდი პსჟ იქნება, სადაც სალაჰს ძალიან მაღალ ანაზღაურებას სთავაზობენ. არსებობს იტალიური ვარიანტიც და სალაჰის შეძენა ინტერსაც სურს, რომელიც ზაფხულში სერიოზულად გეგმავს გაძლიერებას.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ვახტანგ კახიძემ უკრაინული იავნანა ახლებურად ააჟღერა



ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში უკრაინის მხარდასაჭერი კონცერტი გაიმართა.

მსმენელის წინაშე პირველად წარდგა უკრაინელი ჰობოისტი, მარიუპოლელი მარიანა ალეკსუნი. მან მაესტრო ვახტანგ კახიძესთან, თბილისის სიმფონიურ ორკესტრსა და სოლისტ ქეთევან ქართველიშვილთან ერთად უკრაინული იავნანა შეასრულა.

უკრაინაში დაღუპულთა ხსოვნის საღამოზე მისულმა მსმენელმა შემსრულებლები ხანგრძლივი აპლოდისმენტებითა და ოვაციებით დააჯილდოვა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 3 მაისისათვის

**ვერძი** – ალკოჰოლის მიღება, წინდაუხედაობა უსიამოვნების წყაროდ იქცევა. ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **კურო** – სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი დღეა. სტუმრების მიღება სხვა დროისათვის გადადეთ. **ტყუპები** – ცივი გონება საუკეთესო მრჩეველია. ემოციები აკონტროლეთ. პროვოკაციული დღეა. **კირჩხიბი** – კონფლიქტური სიტუაცია ძირშივე აღკვეთეთ. გაერიდეთ ემოციურად გაუწონასწორებელ ადამიანებს. **ლომი** – ყოველგვარი საქმე გადადეთ. გეგმები გეცვლებათ. ეცადეთ, მხოლოდ დაისვენოთ და გაერთოთ. **ქალწული** – მოულოდნელი ახალი ამბავი შესაძლოა სასიხარულოც იყოს და უსიამოვნოც. შრომისუნარიანობა აგიმაღლდებათ. **სასწორი** – ახალი საქმიანი პროექტი პარტნიორებთან ერთად განიხილეთ. გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად ნუ მიიღებთ. **ღრიანკალი** – ემოციურად საკმაოდ რთული და არასტაბილური დღეა. შესაძლოა კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. **მშვილდოსანი** – სწორი კვება, ფიზიკური ვარჯიში, სუფთა ჰაერზე სეირნობა თქვენს ჯანმრთელობას სასიკეთოდ წაადგება. ახლობელი საკმაოდ სასარგებლო რჩევას მოგცემთ. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დაბნეული და იმედგაცრუებული ხართ. დათრგუნეთ მოზღვავებული აგრესია. **მერწყული** – წვრილმანი საოჯახო საქმეები დღესვე დაამთავრეთ. აკონტროლეთ ბიუჯეტი. **თევზები** – შემოსავალი მოულოდნელად გეზრდებათ. მეგობარი დახმარების ხელს გიწვდით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ბიჭი გოგოს მიმართავს:

– გოგონი, შეიძლება, რაღაც გკითხოთ?

– მე გუგლი კი არ ვარ!

•••

ქალი კაცსეუბნება:

– ეეჰ, ახალგაზრდობაში როგორი სულელი ვიყავი...

– ახლაც ახალგაზრდულად გამოიყურები!

•••

ორი ხანშიშესული მამაკაცი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ჩემს ასაკს ყურადღებას ნუ მიაქცევ... მე ჯერ კიდევ საკმაოდ მხნედ ვარ. საკმარისია, ერთი დავუსტვინო და ქალები ჩემს ფეხებთან გაერთხმევიან!!!

– რას მეუბნები, მართლა?! აგერ, ნახე, რა მშვენიერი ქერათმიანი ქალი მიდის!..

– გივი!.. მე საკუთარ შესაძლებლობებს სალად ვაფასებ... ამ თვეში ერთხელ უკვე დავუსტვინე!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა იყო, ბიჭო, რა მოგივიდა?

– რა და... თავს დამესხა, ფული წამართვა, გამაუპატიურა...

– თუ დაიმახსოვრე, ვინ იყო?

– საკუთარ ცოლს რა დამავიწყებს...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– სახელმწიფომ გამოაცხადა, რომ ღარიბების რაოდენობას აუცილებლად შეამცირებს.

– რა, დაგვხოცავენ?!

•••

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– რატომ არ თხოვდები, რა, პრინცს ელოდები თეთრი „ლექსუსით“?

– არა... მთავარია, რომ კარგი ადამიანი იყოს, ხოლო „ლექსუსის“ ფერს მნიშვნელობა არ აქვს.

•••

დიდი ხნის უნახავი ქალები შეხვდნენ ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– აბა, როგორია სოფელში ცხოვრება?

– კარგი. ქმარს ვუყვარვარ. ის კი არა, შეშის ატანაც კი არ მიწევს ოთახში, ისინი ჩემკენ თავისით მოფრინავენ...

•••

კაცი ქალს ეუბნება:

– მოდი, სექსზე ვითამაშოთ!

– როგორ?

– თუ მოგიგებ, შენთან დავწვები!

– და თუ მე მოგიგებ?

– მაშინ შენ დაწვები ჩემთან!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ფრედერიკ ბეგბედერი ქართველ მკითხველს შეხვდება



4 მაისს ცნობილი ფრანგი მწერალი ფრედერიკ ბეგბედერი ქართველ მკითხველს შეხვდება.

მწერალი მკითხველთან შეხვედრას საჯარო ბიბლიოთეკაში გამართავს, უპასუხებს მათ კითხვებს და დაარიგებს სამახსოვრო ავტოგრაფებს.

პოლიტიკის მეცნიერების, მარკეტინგისა და ჟურნალისტიკის სპეციალისტ ავტორს ათამდე რომანი აქვს გამოცემული. მათგან ყველაზე ცნობილია „99 ფრანკი“, რომელიც 2000 წელს გამოქვეყნდა და ავტორს დიდი პოპულარობა მოუტანა.

ფრედერიკ ბეგბედერთან შეხვედრაზე დასწრება თავისუფალია.

## ოთო ნემსაძემ უკრაინელების მხარდასაჭერად სიმღერა ჩაწერა



მომღერალმა ოთო ნემსაძემ ჯგუფ „ლიმბოსთან“ ერთად უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად სიმღერა ჩაწერა და ვიდეორგოლიც გადაიღო. მისი ნახვა მაყურებელს სულ მალე შეეძლება:

– დავამთავრეთ ვიდეოს გადაღება უკრაინელი დების და ძმების მხარდასაჭერად. ძალიან მალე შემოგთავაზებთ პრემიერას.

## ნატა გულიაშვილი საუკეთესო პროდიუსერობისთვის დაჯილდოვდა



მსახიობი, ტელეწამყვანი და პროდიუსერი ნატა გულიაშვილი საუკეთესო პროდიუსერობისთვის დაჯილდოვდა.

აკადემია „გვირილას“ 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაიმართა სპეციალური დაჯილდოების ცერემონიალი, სადაც სხვადასხვა ნომინაციებში საუკეთესოები დაასახელეს.

ნომინაციაში „საუკეთესო პროდიუსერი“ გამარჯვებული ნატა გულიაშვილია. დიპლომთან ერთად მან სპეციალური პრიზიც მიიღო.

## თბილისის კონსერვატორია 105 წლისაა



ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას დაარსებიდან 105 წელი შეუსრულდა.

საიუბილეო თარიღს კონსერვატორიის რექტორი ნანა შარიქაძე ღია წერილით გამოეხმაურა:

– ყველა თაობის კონსერვატორიელს ვულოცავ 105 წლის იუბილეს. 105 წელი არის ამბავი ისტორიაზე, ფასეულობებზე, ტრადიციაზე, ტურბულენტობაზე, გარდაქმნებზე, ადამიანებზე, კრიზისების შესაძლებლობად გარდაქმნაზე, ყველაფერ იმაზე, რამაც საფუძველი ჩაუყარა იმას, რითიც ახლა მოგვაქვს თავი და ვამაყობთ.

კონსერვატორია ამბავია იმათზე, ვინც გვასწავლა, რომ ყველაზე დიდი პროტესტი შრომაა, ამ ხალხის საშუალებით იქმნებოდა კონსერვატორიის ისტორია და კონსერვატორიაც ქმნიდა მათ ისტორიას. აქ პროფესიისადმი ყველაზე თავდადებული და შეუპოვარი ადამიანები გავიცანი, რომლებიც მუსიკით არიან შეპყრობილი და კი არ მუშაობენ, არამედ ამ საქმიანობით ცხოვრობენ.

ჩვენს ქვეყანასაც ვულოცავ ამიერკავკასიაში პირველი უმაღლესის დაარსების 105 წლისთავს, რომელიც ზუსტად ამდენი წელია, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ქმნის ჩვენი ქვეყნის მუსიკალური კულტურის სავიზიტო ბარათს საერთაშორისო დონეზე.

## კულტურის პალატა და მისი პრეზიდენტი ოქროს ბრენდის მფლობელია




საქართველოს კულტურის პალატა და მისი პრეზიდენტი დათო ოქიტაშვილი ოქროს ბრენდის მფლობელები გახდნენ:

– საქართველოს კულტურის პალატა ოქროს ბრენდია. ასევე გამოკითხვის შედეგად თქვენი მონა მორჩილიც გავხდი ოქროს ბრენდის ჯილდოს და წოდების მფლობელი. მადლობა ყველას ასეთი ნდობისთვის.

ჩატარებული კვლევის შედეგად მე და კულტურის პალატა დავსახელდით გამარჯვებულად ქართულ კულტურაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის.

ეს ჯილდო ყველა იმ ადამიანის დამსახურებაა, ვინც აქტიურად უდგას მხარში საქართველოს კულტურის პალატას.

მადლობა თქვენ სიკეთისა და გვერდში დგომისთვის, რაც ჩვენ ასე გვაძლიერებს. ეს უკვე ისტორიაა, – განაცხადა კულტურის პალატის პრეზიდენტმა დათო ოქიტაშვილმა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. კათოლიკური მღვდელმსახურება; 2. ელექტრობის წინაღობის საზომი ერთეული; 3. ფირმა „როლექსის“ დამფუძნებელი; 4. ზარების დამრეკი ეკლესიაში; 5. თავხედური გულახდილობა; 8. ემილ ზოლას რომანი; 9. სამართლის დარღვევა, დანაშაული; 10. ნავთობის საბადო კახეთში; 12. საქართველოში გავრცელებული ძალზე მაგარმერქნიანი, წითელ წიგნში შეტანილი ფოთლოვანი ხე; 13. უელსის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 15. უძველესი ისტორიული ქალაქი ჯავახეთში.

**თარაზულად:** 1. ქართული ტელეკომპანია; 6. თხევადი საწვავისა და ბალასტის ავზები გემზე; 7. იაპონური აბანო; 10. სტანდარტული ფორმის კითხვარი ცოდნის შესამოწმებლად; 11. „ხევისბერი გოჩას“ პერსონაჟი; 13. მდინარე, ხეობა აფხაზეთში; 14. შავი, წვრილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 16. ეგრისის მთავარი; 17. ლურჯი ფერის ძვირფასი ქვა; 18. ქართველი ავტომრბოლელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

